Project MUSE®
http://muse.jhu.edu

ეთნიკური ომის სარგებელი
ევრაზიის არაღიარებული სახელმწიფოების გაგებისათვის

ჩარლზ კინგი*

ორიგინალი სტატია: King Charles. (2001). The benefits of ethnic war: understanding Eurasia's unrecognized states. *World politics*, *53*(4), 524-552.

ომი სახელმწიფოს აღმშენებლობის მამოძრავებელი მექანიზმია, თუმცა ის ბიზნესისთვისაც ხელსაყრელია. ისტორიულად, ეს სამი რამ ხშირად ერთმანეთისგან განუყოფელია. დასავლეთ ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების კონსოლიდაცია ნაწილობრივ სამეფო მმართველთა ინტერესებით იყო განპირობებული ომის წარმოებისთვის საკმარისი შემოსავლის უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, ძვირადღირებული სამხედრო ოპერაციების წარმოება ძალზე მომგებიანი იყო ადამიანების, გემებისა და იარაღის მომწოდებლებისთვის. შექსპირის რიჩარდ II, როდესაც ის ბიძამისის ქონებას ომის დაფინანსების განზრახვით ეუფლება, ამბობს, სახელმწიფოს მართვის დიდი საქმეები, „გარკვეულ საფასურს ითხოვენო“. განსხვავება თაღლითსა და დამაარსებელ მამას, მეკობრესა და პრეზიდენტს შორის ხშირად ბევრად უფრო ბუნდოვანი იყო, ვიდრე ამას ეროვნული მითები ჩვეულებრივ გადმოგვცემენ.

თუმცა, ეს შეხედულებები მხოლოდ ახლახანს გამოჩნდა თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის შესახებ დისკუსიებში. ომის მექანიკაზე ორიენტირებული კვლევები, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების შემთხვევებში, როგორიცაა სუდანი, ლიბერია და სიერა ლეონე, ხაზგასმით გამოყოფენ რთულ ეკონომიკურ მოტივაციას, რომელმაც შეიძლება ძალადობა გააძლიეროს ისევე, როგორც ის ყველაფერი, რაშიც იმ მარტივ იარლიყებს, რომლებსაც ანალიტიკოსები კონფლიქტების, ვთქვათ,

---

* ავტორი მადლობას უხდის სამ ანონიმურ რეკომენდატორს ამ სტატიის ადრინდელ პროექტზე კომენტარებისთვის და აგრეთვე ლორი ხაჩატურიანს, ნელსონ კასფირს, კრისტიან ჰარდი ვოლფორტს, ჩესტერ კროკერს და მაიკლ ბრაუნს სასარგებლო საუბრებისთვის.

„ეთნიკურად“ ან „რელიგიურად“ გამოსაცხადებლად იყენებენ, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ბუნდოვანება შემოაქვთ, ვიდრე მკაფიოება.[1] **თუმცა, რანაირად გარდაიქმნება ომის ქაოსი მომგებიან ქსელებად და როგორ შეიძლება ეს არაფორმალური ქსელები სახელმწიფოების ინსტიტუციებად გამყარდეს? პოსტსაბჭოთა ევრაზია ამ მიმდინარე პროცესების ნათელ მაგალითს იძლევა.**

1990-იან წლებში მთელ რეგიონში ექვსი მცირე ომი და შეიარაღებული კონფლიქტების სერია იყო გაჩაღებული, რომელსაც შემდგომი პერიოდების ისტორიკოსები ერთხმად უწოდებენ საბჭოთა მემკვიდრეობის ომებს. ესენა მთიანი ყარაბაღი, დნესტრისპირეთი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ჩეჩნეთი და ტაჯიკეთი. თითოეულ მათგანში მხარეთა ფართო სპექტრი იყო ჩართული, მათ შორის ახალი სუვერენული სახელმწიფოების ცენტრალური მთავრობები, ტერიტორიული სეპარატისტები, სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები და საერთაშორისო მშვიდობისმყოფელები.

ათწლეულის შუა პერიოდისთვის კონფლიქტების უმეტესობა შედარებით ჩაწყნარდა. გაეროსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ეგიდით გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკებების მრავალი რაუნდი. მოლაპარაკებებში მცირეოდენი პროგრესი იქნა მიღწეული, მაგრამ 1998 წლიდან მოყოლებული ჩეჩნეთის მეორე ომის გარდა, ვერცერთი პოსტსაბჭოთა კონფლიქტი ვერ შეედრება ორგანიზებული ძალადობის უწინდელ დონეს.

მაგრამ როგორ შეიძლება ავხსნათ ის, რომ ძალადობის შეწყვეტის შემდეგაც კი ეს დავები კვლავ არსებობს და მათ ზოგჯერ „შეჩერებულ“ ან „გაყინულ“კონფლიქტებს უწოდებენ? ამასთან დაკავშირებით ამ სტატიაში ორი ძირითადი არგუმენტია მოყვანილი. პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ 1990-იანი წლების დასაწყისის ტერიტორიული სეპარატისტები 2000-იანი წლების დასაწყისის სახელმწიფოს აღმშენებლები გახდნენ, შექმნეს დე ფაქტო ქვეყნები, რომელთა უნარი,

---

[1] იხ. David Keen, *The Benefits of Famine: A Political Economy of Famine Relief in Southwestern Sudan, 1983–1989* (Princeton: Princeton University Press, 1994); William Reno, *Corruption and State Politicsin Sierra Leone* (Cambridge: Cambridge University Press, 1995); Stephen Ellis, *The Mask of Anarchy: The Roots of Liberia's War* (New York: New York University Press, 1999).

რომ გააკონტროლონ შეიარაღებული ძალები და საკუთარი ტერიტორია, განათლება მისცენ თავიანთ შვილებს და შეინარჩუნონ ადგილობრივი ეკონომიკა, დაახლოებით ისეთივე განვითარებულია, როგორც იმ აღიარებულ სახელმწიფოებში, რომელთა ნაწილიც ისინი ჯერ კიდევ არიან წარმომადგენლობითი თვალსაზრისით. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულების კრისტალიზაცია ნიშნავდა, რომ ამ კონფლიქტების მოგვარება იმდენად დანაწევრებული ქვეყნის შეკოწიწებას კი არ მოიცავდა, რამდენადაც ორი ფუნქციონალურად განსხვავებული ადმინისტრაციის, შეიარაღებული ძალებისა და საზოგადოების რეინტეგრაციას.[2] საბჭოთა მემკვიდრეობის ომების შედეგი გაყინული კონფლიქტები კი არ არის, არამედ ის, რომ ისინი შედარებით წარმატებული მაგალითები არიან იმისა, თუ როგორ შენდებიან სახელმწიფოები ომების წარმოებით.

მეორე, დავები შეიარაღებული დაპირისპირებიდან რაღაც წონასწორობასთან მიახლოებულში გადაიზარდა. **ხშირ შემთხვევაში სეპარატისტებიცა და მათი ყოფილი ოპონენტებიც ცენტრალურ მთავრობებში ყოფილი საომარი ზონებიდან მომდინარე დაუბეგრავი ვაჭრობითა და წარმოებით სარგებლობენ. ნაკლებ უსიამოვნო სიტუაციებშიც კი, კონფლიქტურ ზონებში და მის ფარგლებს გარეთ მყოფი ინდივიდების ინტერესებშია სტატუს-კვოს შენარჩუნება - დაწყებული პოეტებიდან, რომლებმაც კარიერა თავიანთი ახლად აღმოჩენილი სახელმწიფოებრიობის განდიდებით შეიქმნეს და დამთავრებული პენსიონერებით, რომლებიც იმაზე წუხან, რომ მათი მწირი შემოსავალი შესაძლოა კიდევ უფრო შემცირდეს, თუკი მათი ქვეყანა კვლავ გამთლიანდება. ეს პარეტოს კანონის ყველაზე პირქუში ვერსიაა: ზოგადი კეთილდღეობა ვერ გაუმჯობესდება - ნამდვილი სამშვიდობო შეთანხმების მიღებით, რომელიც საშუალებას მისცემს რეალურ რეინტეგრაციას - იმავდროულად, ორივე ბანაკში ძირითად**

[2] „სახელმწიფოებრივ ერთეულში“ ვგულისხმობ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც ჰყავს (1) მოსახლეობა და (2) მთავრობა, რომელიც სუვერენულ კონტროლს ახორციელებს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე, თუმცა არ აქვს საერთაშორისო აღიარება. ევრაზიაში სახელმწიფოებრიობის კონცეპტუალური ბარიერი მეტისმეტად მაღლა ვერ აიწევა, რადგან ბევრი ისეთი თვისება, რომელიც შედარებით კარგად ფუნქციონირებად სახელმწიფოებს განსაზღვრავს ცენტრალურ ევროპაში, უფრო აღმოსავლეთისკენ, გაეროში წარმოდგენილ „სახელმწიფოებშიც“ კი, საერთოდ არ არსებობს.

ინტერესთა ჯგუფების მდგომარეობის გაუარესების გარეშე. მაშინაც კი, თუ შეთანხმება მიიღწევა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ძირითადი ლოგიკისა და მისი თანმდევი სარგებელის აღიარებაზე მეტის გაკეთება გახდეს შესაძლებელი.

ეს სტატია იკვლევს თუ როგორ გაჩნდენ და განვითარდნენ სახელმწიფოებრივი ერთეულები ევრაზიაში 1980-იანი წლების ბოლოს ყველაზე ადრეული ძალადობრივი აფეთქების შემდეგ. პირველი ნაწილი მოკლედ მიმოიხილავს სამოქალაქო ომის დასასრულის შესახებ მიმდინარე კვლევებს და საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურის მიდგომებსა და ძალადობის ფუნქციებზე სოციოლოგებისა და განვითარების ეკონომისტების ნაშრომებს შორის აცდენაზე მიუთითებს. მეორე ნაწილი ოთხი ევრაზიული ომის მიმდინარეობას ასახავს და განსაზღვრავს დე ფაქტო სახელმწიფოებს, რომლებიც მათ შედეგად წარმოიქმნენ: მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა (აზერბაიჯანში); დნესტრის მოლდოვის რესპუბლიკა, ან დნესტრისპირეთი (მოლდოვაში); და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები (საქართველოში).[3]

არის სხვა ტერიტორიები აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის მასშტაბით, რომლებიც შეიძლება ამ სიაში მოხვდნენ, როგორიცაა მონტენეგრო და კოსოვო იუგოსლავიაში და ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩრდილოეთ კვიპროსის ხანდაზმულ თურქულ რესპუბლიკაზე. მაგრამ აქ განხილული ოთხი შემთხვევა ის შემთხვევებია, როდესაც ადგილობრივმა შეიარაღებულმა ძალებმა, ხშირად გარე ძალების მნიშვნელოვანი დახმარებით, ღია ომში ეფექტურად დაამარცხეს აღიარებული მთავრობების ჯარები. ისინი აგრეთვე ის შემთხვევებიცაა, სადაც დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნისკენ სწრაფვამ ყველაზე სერიოზული კითხვები წარმოშვა იმის შესახებ, შეიძლება თუ

---

[3] ძირეულად დაყოფილ საზოგადოებებში Spelling Bees კონკურსიც კი პოლიტიკური მოვლენაა, ამიტომ თითოეულ ამ შემთხვევაში ადგილთა სახელწოდებები საკამათოა. მე ინგლისურად წერისას დნესტრისპირეთის აღსანიშნავად ვიყენებ რუმინულ სიტყვა Transnistria-ს, ნაცვლად *Pridnestrov'e*-სა ან *Transdniestria*-სი, რადგან ის უფრო ადვილად წარმოითქმის, და აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და ყარაბაღს, რადგან ცოტას გაუგია ალტერნატიული დასახელებები, როგორიცაა „აფსნი“, „ირისთონი“ და „აზატ არცახი“. მოხერხებულობის გამო იგივე წესი ვრცელდება სხვა თავისებურ არსებით სახელებზეც.

არა გონივრულად ველოდოთ რეალურ რეინტეგრაციას ცენტრალურ მთავრობებთან, რომლებიც ამჯერად საერთაშორისო საზოგადოების მიერ ლეგიტიმურად არიან აღიარებულნი. მესამე ნაწილი აანალიზებს თითოეულ შემთხვევაში სახელმწიფოს აღმშენებლობის საყრდენებს იმის ჩათვლით თუ როგორ კმაყოფილდება რამდენიმე ძირითადი ჯგუფის ინტერესები იმ გაურკვეველი სტატუსის პირობებში, რომელშიც კონფლიქტებმა მოიტანა. მეოთხე ნაწილი აღწერს წონასწორობას, რომელსაც, როგორც ჩანს, ამ დაპირისპირებებმა მიაღწიეს და გაკვეთილებს გვთავაზობს შიდასახელმწიფოებრივი ძალადობის შემდგომი შესწავლისათვის.

I. სამოქალაქო ომი, მოლაპარაკებები და სახელმწიფოს აღმშენებლობა

მეცნიერები დიდი ხანია აღიარებენ, რომ სამოქალაქო ომებს გრძელვადიანობის ტენდენცია ახასიათებთ და რომ მოლაპარაკებებით კონფლიქტის მოგვარება იშვიათად ხდება მაშინაც კი, როდესაც მოლაპარაკებები წარმატებულია, ისინი უმეტეს შემთხვევაში საბოლოო სახელმწიფოებს წარმოქმნიან, რომლებიც ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე რომელიმე მხარის სრული გამარჯვება.[4] ამის და მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოების აშკარა ინტერესის გათვალისწინებით მოლაპარაკებების ხელშეწყობაში, ცენტრალური მნიშვნელობის საკითხია იმის გაგება, თუ რატომ მოდის ომში ჩართული ზოგიერთი მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან, სხვები კი ბრძოლის ველზე რჩებიან.

მკვლევრებმა ახსნა-განმარტების ორ ფართო კატეგორიაზე მიუთითეს. ერთი მოსაზრებით, თავად მეომართა თვისებები შესაძლოა კომპრომისს ხელს უშლიდეს. ეთნიკურმა ჯგუფებმა შესაძლოა იგრძნონ, რომ უძრავი ქონების კონკრეტული ნაწილი ისტორიულად მათია და რომ უცხო ჯგუფისათვის მასზე კონტროლის უფლების

[4] Paul R. Pillar, *Negotiating Peace: War Termination as a Bargaining Process* (Princeton: Princeton University Press, 1983), 25; Stephen John Stedman, *Peacemaking in Civil War: International Mediation in Zimbabwe, 1974–1980* (Boulder, Colo.: Lynne Rienner, 1991), 9; Roy Licklider, "The Consequences of Negotiated Settlements in Civil Wars, 1945–1993," *American Political Science Review* 89 (September 1995), 686.

მიცემა ეროვნული ღალატის ტოლფასი იქნება.[5] თავგანწირულმა ლიდერებმა შეიძლება იგრძნონ, რომ მათ დიდი არჩევანი არ აქვთ და ბრძოლა უნდა განაგრძონ, რათა საკუთარსავე ბანაკში კიდევ უფრო რადიკალური თანამებრძოლების მსხვერპლი არ გახდნენ.[6] თუ ჯგუფები გრძნობენ, რომ ბრძოლით უფრო მეტს მიაღწევენ, ვიდრე მოლაპარაკების გზით - თუ ისინი, უილიამ ზარტმანის ცნობილი ფრაზა რომ მოვიშველიოთ, "ორმხრივად საზიანო ჩიხში" არ მომწყვდეულან, - ნაკლებად სავარაუდოა, რომ მშვიდობას ეძიებდნენ.[7] მეორე შეხედულება ხაზს უსვამს სტრუქტურულ გარემოს, რომელშიც ხდება გადაწყვეტილების მიღება. ნეორეალისტური თეორიიდან წარმოშობილი შეხედულებების გამოყენებით, ზოგიერთი მწერალი ამტკიცებს, რომ იმ ინსტიტუციების არარსებობისას, რომლებიც მტკიცე ვალდებულებას უზრუნველყოფენ, ყველაზე კეთილგანწყობილი ლიდერების მხრიდანაც კი ირაციონალური იქნებოდა, რომ მოლაპარაკებების გზით ეცადათ კონფლიქტის მოგვარება.[8] იმ მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც მოლაპარაკებების საწინააღმდეგოდ მუშაობს, სხვა დამკვირვებლები თვლიან, რომ ფართომასშტაბიანი კოლექტიური ძალადობიდან ერთადერთი ჭეშმარიტად სტაბილური გამოსავალი შეიძლება იყოს მშვიდობის ძიება მხოლოდ რომელიმე მხარის გამარჯვების შემდეგ ან მებრძოლი ეთნიკური ჯგუფების ფიზიკური დაცალკევების აღიარება.[9]

---

[5] ეთნიკური ომის შესახებ იხ. Chaim Kaufmann, “Possible and Impossible Solutions to Ethnic Civil Wars,” *International Security* 20 (Spring 1996).

[6] Rui J. de Figueiredo, Jr., and Barry R. Weingast, “The Rationality of Fear: Political Opportunism and Ethnic Conflict,” in Barbara F. Walter and Jack Snyder, eds., *Civil Wars, Insecurity, and Interven tion* (New York: Columbia University Press, 1999).

[7] I. William Zartman, *Ripe for Resolution: Conflict and Intervention in Africa* (Oxford: Oxford Uni versity Press, 1985).

[8] Barry R. Posen, “The Security Dilemma and Ethnic Conflict,” in Michael E. Brown, ed., *Ethnic Conflict and International Security* (Princeton: Princeton University Press, 1993); James D. Fearon, “Commitment Problems and the Spread of Ethnic Conflict,” in David A. Lake and Donald Rothchild, eds., *The International Spread of Ethnic Conflict: Fear, Diffusion, and Escalation* (Princeton: Princeton University Press, 1998); Barbara F. Walter, “The Critical Barrier to Civil War Settlement,” *International Organization* 51 (Summer 1997).

[9] Chaim Kaufmann, “When All Else Fails: Ethnic Population Transfers and Partitions in the Twentieth Century,” *International Security* 23 (Fall 1998); Edward N. Luttwak, “Give War a Chance,” *Foreign Affairs* 78 (July–August 1999).

თუმცა, მთელ ამ დებატებში ომის სარგებელი დიდწილად უგულებელყოფილია. როგორც დევიდ კინმა შენიშნა, მედიცინაში მნიშვნელოვანი მიღწევა იყო იმის გაცნობიერება, რომ ის, რაც შესაძლოა ძალიან ცუდი იყოს ორგანიზმისთვის, შეიძლება ძალიან კარგი იყოს იმ მიკრობისათვის, რომელიც მას თავს ესხმის; იგივე შეიძლება ითქვას სამოქალაქო ომებზე.[10] **ომს აქვს პოლიტიკური ეკონომიკა, რომელსაც დადებითი გარეგანი ეფექტები აქვს მასში მოქმედი პირებისათვის.** ერთი შეხედვით მუდმივი ძალადობა სიერა ლეონეში, მიანმარში, ლიბერიაში და სხვა ქვეყნებში უფრო ნაკლებ კავშირშია ანარქიასთან - იქნება ეს სოციალური თუ ინსტიტუციური - ვიდრე ელიტის რაციონალურ გათვლებთან ძალადობის, როგორც რესურსების მოპოვებისა და გადანაწილების მექანიზმის გამოყენების შესახებ. ბრილიანტები ანგოლაში, ხე-ტყე კამბოჯაში და კოკაინი კოლუმბიაში ომის ნადავლებად იქცნენ, რომლებიც აღრმავებენ კონფლიქტებს და ხელს უშლიან მათ გადაჭრას. კონფლიქტები, ამ გაგებით, შეიძლება თავისით სწორედ იმიტომ არ „გადაიწვას“, რომ მათი გაღვივება მათივე შემქმნელების ინტერესებშია.[11]

მაშინაც კი, როცა ერთმა ბანაკმა ნაწილობრივ ან სრული გამარჯვება მოიპოვა სამხედრო შერკინებაში, ძალადობის დროს წარმოქმნილი ძირითადი ქსელები, ურთიერთობები და არაფორმალური არხები შეიძლება ახალ სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებშიც განმეორდნენ ყოფილ კონფლიქტურ ზონებში. ომში ჩართული მხარეები ხშირად

---

[10] Keen, “When War Itself Is Privatized,” *Times Literary Supplement*, December 29, 1995. ამ არგუმენტის ამომწურავი ახსნისათვის იხ. Keen, *The Economic Functions of Violence in Civil Wars*, Adelphi Paper320 (Oxford: Oxford University Press and International Institute for Strategic Studies, 1998).

[11] ამ არგუმენტებმა, რომლებსაც განვითარებად სამყაროში ცენტრალური ადგილი ეკავათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონფლიქტების შესწავლის საქმეში, მხოლოდ ახლახან დაიწყეს შეღწევა რეგიონული და ეთნიკური ძალადობის შესწავლის სხვა სფეროებში. კიდევ უფრო გვიანდელია იმის მცდელობა, რომ სუბსახელმწიფოებრივი ომის გამოყენება ფართო, შედარებითი კუთხით დავინახოთ. ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომებს შორისაა William Reno, *Warlord Politics and African States* (Boulder,Colo.: Lynne Rienner, 1998); Mats Berdal and David M. Malone, eds., *Greed and Grievance: Economic Agendas in Civil Wars* (Boulder, Colo.: Lynne Rienner, 2000); *A Rough Trade: The Role of Companies and Governments in the Angola Conflict* (London: Global Witness, 1998და პოლ კოლიერის და მისი თანამოაზრეების რამდენიმე სამუშაო ნაშრომი მსოფლიო ბანკის განვითარების კვლევის ჯგუფში, მაგ., Collier, “On the Economic Consequences of Civil War,” *Oxford Economic Papers* 51 (January 1999).

ახერხებენ შექმნან ოფიციალური ინსტიტუციების დახვეწილი წყობა, რომლებიც ეფექტურ კვაზისახელმწიფოებად ფუნქციონირებენ დაწყებული ჯაფნას ნახევარკუნძულიდან შრი-ლანკაში, სომალილენდის რესპუბლიკამდე სომალიში და დემილიტარიზებულ ზონამდე სამხრეთ ცენტრალურ კოლუმბიაში. თუმცა, ამ ინსტიტუციების მეშვეობით, პოლიტიკა მშვიდობიან პერიოდში ომის გაგრძელება უფროა. გრძელვადიან პერსპექტივაში **არაღიარებული რეჟიმების ინსტიტუციებში სუბლიმირებული ძალადობის ინსტრუმენტები არსებულ სახელმწიფოებს სუსტ მდგომარეობაში ამყოფებენ, მოსახლეობას სიღარიბეში და სრულმასშტაბიან ომს მუდმივ შესაძლებლობად ინარჩუნებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იმ მთავარ მოთამაშეებს ამდიდრებენ, რომლებიც მშვიდობის ღირსებებს ხმამაღლა განადიდებენ.**

ასე იყო 1990-იანი წლების ევრაზიულ კონფლიქტებში. თუმცა, ვაწყდებით საინტერესო შემობრუნებას. უწინდელი სეპარატისტები არა მხოლოდ შედარებით წარმატებული სახელმწიფოს აღმშენებლები გახდნენ, არამედ ზოგჯერ ამას იმ ცენტრალური მთავრობებთან, გარე აქტორებსა და საერთაშორისო მოლაპარაკებების საფუძველზე შეთანხმებით აღწევდნენ, რომლებიც თითქოსდა მზად იყვნენ ხელახლა შეექმნათ სტაბილური, რეინტეგრაციული ქვეყანა.

II. საბჭოთა მემკვიდრეობის ომები

საბჭოთა კომუნიზმის დასასრული შედარებით მშვიდობიანი იყო. რეგიონის მასშტაბით არსებული სოციალური ჩივილებისა და სადავო საზღვრების მიუხედავად, რამდენიმე დაპირისპირებამ რეალურად გამოიწვია ღია ომი.[12] თუმცა, სულ მცირე ოთხ შემთხვევაში, ეთნიკური დავები, გარე ინტერესები და ელიტარული დაპირისპირება ურთიერთქმედებდნენ ომების წარმოსაქმნელად, რაც სიცოცხლის სერიოზულ დანაკარგს და ასობით ათასი ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) გაჩენას იწვევდა. ოთხივე შემთხვევაში სეპარატისტებმა ფაქტობრივად გაიმარჯვეს შეიარაღებულ კონფლიქტებში და შექმნეს აღიარებული სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ მარგინალურად

[12] James D. Fearon and David D. Laitin, "Explaining Interethnic Cooperation," *American Political Science Review* 90 (December 1996).

ფუნქციონირებენ და ასევე არაღიარებული სახელმწიფოები, რომლებსაც საოცრად ძლიერი თვითმმართველობის უნარი აქვთ.

მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა კავშირში მთიანი ყარაბაღის შესახებ დავა ღია ეთნიკური მეტოქეობის პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ ეს პირველი ისეთი შემთხვევა იყო, რომელიც ორი საბჭოთა რესპუბლიკის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებს მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის, ის ძირითადად დასახლებული იყო ეთნიკური სომხებით, რაც 1989 წლისთვის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენდა. აღნიშნული რეგიონი საბჭოთა კავშირის დასაწყისიდანვე სარგებლობდა ავტონომიური სტატუსით, მაგრამ ყარაბაღელი სომხები კულტურულ დისკრიმინაციასა და ეკონომიკურ განუვითარებლობას უჩიოდნენ.[13] გორბაჩოვის დროს მზარდი ღიაობის გამო, ამ საკითხებმა წინა პლანზე წამოიწია. 1988 წელს ყარაბაღის ლიდერებმა მოითხოვეს რეგიონის სომხეთის იურისდიქციაში გადაცემა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა საპასუხო რეაქციები, მათ შორის იყო ორგანიზებული პოგრომი სომხების წინააღმდეგ აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაიტში. ორივე მხარე ღრმა უკმაყოფილებას გამოხატავდა. სომხური პერსპექტივიდან, ეთნიკურ სომხურ თემებზე განმეორებითი თავდასხმები ოსმალეთის ეპოქის გენოციდს წააგავდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 1989 წლის შუა პერიოდისთვის მოხდა 180 000-ზე მეტი ლტოლვილის მასიური გადინება.[14] აზერბაიჯანელთა თვალთახედვით, სომხები რესპუბლიკის მთლიანობის განადგურებით აზერბაიჯანული ეროვნული მოძრაობის ჩახშობას ცდილობდნენ.

1989 წელს სომხეთის უზენაესმა საბჭომ და ყარაბაღის ადგილობრივმა საბჭომ ერთობლივი რეზოლუცია მიიღეს სომხეთისა და ყარაბაღის

---

[13] ყარაბაღის ომის წარმოშობისა და მიმდინარეობის თვალსაჩინო მიმოხილვისათვის იხ. David D. Laitin and Ronald Grigor Suny, "Armenia and Azerbaijan: Thinking a Way Out of Karabakh," *Middle East Policy* 7 (October 1999).

[14] Золотарев, В. А. Россия (СССР) в Локальных Войнах и Военных Конфликтах Второй Половины XX Века / под редакцией В.А. Золотарева. Кучково поле, Полиграфресурсы, Россия (СССР, 2000), 45.

გაერთიანების შესახებ და სომხეთმა ადგილობრივი გასამხედროებული ჯგუფების მომარაგება დაიწყო მამაკაცებითა და საბრძოლო მასალით. აზერბაიჯანელებმა სომხეთის ყარაბაღის საზღვრის გასწვრივ სოფლების იძულებითი ევაკუაციითა და ჯერ პროვინციისა და შემდგომ სომხეთის საავტომობილო და სარკინიგზო ბლოკადით უპასუხეს. დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. ადგილობრივმა სომხებმა რეგიონის დედაქალაქ სტეფანაკერტში რეფერენდუმი ჩაატარეს დამოუკიდებლობის შესახებ და სრულიად განცალკევებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. 1992 წლის შუა პერიოდისთვის ყარაბაღის ჯარებმა გახსნეს სახმელეთო დერეფანი, რომელიც ყარაბაღს სომხეთთან აკავშირებდა და აზერბაიჯანის ჯარი ქალაქ შუშიდან განდევნეს. შუში ყარაბაღის ბოლო ძირითადი დასაყრდენი და სტრატეგიული მთიანეთი იყო, საიდანაც სამხედროებმა სტეფანაკერტის დაბომბვა შეძლეს. 1993 წელს მთავარმა შეტევამ ყარაბაღის გარშემო სომხების მიერ კონტროლირებადი ბუფერული ზონა წარმოქმნა. 1990-იანი წლების დასაწყისში შუამავლობის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1994 წლის მაისში რუსეთის ფედერაციამ საბოლოოდ მოახერხა ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება ძალაში დარჩა მცირე დარღვევებით, მცირე რეალური პროგრესი მიღწეული იქნა ყარაბაღის საბოლოო სტატუსის გადაწყვეტაში.

ცხრილი 1
ევრაზიის აღიარებული და არაღიარებული დეფაქტო სახელმწიფოები(ა)

	დედაქალაქი	დამოუკიდებლობა და აღიარება	მოსახლეობა	ეთნიკური შემადგენლობა	ტერიტორია	შეიარაღებული ჯარები
აზერბაიჯანი	ბაქო	გამოცხადდა 1991 წ.18 ოქტომბერს; გაეროში გაწევრიანდა 1992 წ. 9 მარტს.	8,000,000	აზერბაიჯანელები 90%; ეთნიკურად დაღესტნელი ჯგუფები 3%; რუსები 3%; სომხები 2%	86,600 კმ2.	72,100
მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა(აგრეთვე ცნობილია როგორც აზატ არცახი სომხურ ენაზე)	სტეფანაკერტი	გამოცხადდა 1991 წ. 2 სექტემბერს.	150,000	სომხები 95%; ქურთები, ბერძნები, ასურელები 5%	4,400 კმ2.	15,000–20,000 (მათ შორის 8,000 სომხეთიდან)
მოლდოვა	კიშინიოვი	გამოცხადდა 1991 წ. 27 აგვისტოს; გაეროში გაწევრიანდა 1992 წ. 2 მარტს.	4,300,000	მოლდოველები 65%; უკრაინელები 14%; რუსები 13%; გაგაუზები 4%	33,700 კმ2.	9,500

დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა (აგრეთვე ცნობილია, როგორც პრიდნესტროვიე რუსულად და ტრანსნისტრია რუმინულად)	ტირასპოლი	გამოცხადდა 1990 წ. 2 სექტემბერს.	670,000	მოლდოველები 33%; რუსები 29%; უკრაინელები 29%	4,163 კმ2.	5,000–10,000
საქართველო	თბილისი	გამოცხადდა 1991 წ. 9 აპრილს. გაეროში გაწევრიანდა 1992 წ. 31 ივლისს.	5,500,000	ქართველები 70%; სომხები 8%; რუსები 6%; აზერბაიჯანელები 6%; ოსები 3%; აფზახები 2%.	69,700კმ2	26,900

ცხრილი 1 (გაგრძელება)

აფხაზეთის რესპუბლიკა (აგრეთვე ცნობილია, როგორც აფსნი აფხაზურ ენაზე)	სოხუმი	გამოცხადდა 1990 წ. 25 აგვისტოს	200,000	ძირითადად აფხაზები, მაგრამ სომხების კომპაქტური დასახლებაა ჩრდილოეთით და ქართველების (მეგრელები) სამხრეთით.	7,867 კმ2	5000
ოსეთის რესპუბლიკა (აგრეთვე ცნობილია, როგორც ირისთონი ოსურ ენაზე)	ცხინვალი	გამოცხადდა 1990 წ. 20 სექტემბერს, აღიარებულია ჩრდილოეთოს ეთის მიერ 1993 წ.	70,000–80,000	ძირითადად ოსები, მაგრამ არიან რუსებიც და ქართველებიც.	2,732 კმ2 (რამდენიმე სოფლის გამოკლებით, რომლებიც კვლავ ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარეებ აშია).	2000

წყაროები: The Military Balance, 2000–2001 (London: International Institute for Strategic Studies, 2000); Ред. К. Г. Дзугаев, Южная Осетия: 10 лет республики (Южная Осетия: К десятилетию республики) (Владикавказ: Ирыстон, 2000); საქართველო (თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა, თბილისი, 1997 წ.); დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ატლასი (Tiraspol: Dnestr State Cooperative University, 1997); www.worldbank.org; ავტორთა ინტერვიუები.

(ა) არაღიარებული სახელმწიფოების მაჩვენებლები, საუკეთესო შემთხვევაში, არასრულყოფილ შეფასებებს იძლევა, მაგრამ ისინი იმდენად მიახლოებულია სწორ მაჩვენებელთან, რამდენადაც შესაძლებელია ხელმისაწვდომი მტკიცებულებების გათვალისწინებით. არაღიარებული სახელმწიფოების უმეტესობამ ჯერ საბჭოთა კავშირის კონტექსტში გამოაცხადა სუვერენიტეტი, შემდეგ კი სრული დამოუკიდებლობა; პირველი თარიღად მითითებულია, როდესაც ჩვეულებრივ აღინიშნება ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაული. აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიისა და მოსახლეობის მაჩვენებლები ასევე მოიცავს არაღიარებულ რესპუბლიკებსაც. შეიარაღებული ჯარების მაჩვენებლებში არ არის შეტანილი რეზერვები, რამაც შეიძლება გაზარდოს შეიარაღებული ადამიანების რაოდენობა.

სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის დავა შეიძლება განიმარტოს, როგორც სომხებსა და თურქებს შორის მეოცე საუკუნის დასაწყისიდან შემორჩენილი ბრძოლის განახლება. თუმცა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ 1980-იან წლებში შავი ზღვის გაღმა, მოლდოვაში, დიდი ძალადობა იჩენდა თავს. მაღალი იყო ეთნიკური ქორწინების მაჩვენებლები; არ არსებობდა ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობისგან გამყოფი რელიგიური ზღვრები და არც კოლექტიური ძალადობის ისტორია ყოფილა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, მოლდოვა მცირე ომში ჩაერთო ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, დნესტრისპირეთის ვიწრო რეგიონში, მდინარე დნესტრის აღმოსავლეთით, უკრაინის საზღვართან.

დნესტრისპირელები განსხვავებულ ეთნიკურ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ; ფაქტობრივად, ეთნიკური მოლდოველები ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენდა რეგიონში. თუმცა, ამ ზონის მნიშვნელობა საბჭოთა ფოლადის წარმოებისა და სამხედრო სექტორში ნიშნავდა იმას, რომ დნესტრისპირეთის მოსახლეობა ფუნდამენტურად იყო დაკავშირებული - როგორც საარსებო წყაროს, ისე სოციალური იდენტობის თვალსაზრისით - იმ საბჭოთა ინსტიტუციებთან, როგორიცაა კომუნისტური პარტია, სტრატეგიული ინდუსტრიები და შეიარაღებული ჯარები.[15] ამგვარად, 1980-იანი წლების ბოლოს მოლდოვის ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა დნესტრისპირეთს. პროდემოკრატიულმა ჯგუფებმა „პერესტროიკაში“ დაინახეს შესაძლებლობა, კვლავ გაემყარებინათ რესპუბლიკის ეთნიკური მოლდოველი უმრავლესობის ხმა რუსეთის კულტურული დომინირების ათწლეულების შემდეგ. 1989 წელს რესპუბლიკურმა უზენაესმა საბჭომ მიიღო ენობრივი კანონების სერია, რამაც მოლდოვური (რუმინული) ენა სახელმწიფო ენად დააკანონა და კირილიცას ნაცვლად ლათინური ანბანის გამოყენების განკარგულება გასცა.

---

[15] იხ. Charles King, *The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture* (Stanford, Calif.:Hoover Institution Press, 2000), chapter 9.

დნესტრისპირეთში სამრეწველო მენეჯერებმა და სამხედრო პერსონალმა მკვეთრი რეაგირება მოახდინეს და ხელში აიღეს სამთავრობო და უსაფრთხოების სტრუქტურების კონტროლი მდინარე დნესტრის აღმოსავლეთ რაიონებში და დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ბენდერში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რუსია. 1990 წლის შემოდგომაზე დნესტრისპირეთის ლიდერებმა ცალკე რესპუბლიკა გამოაცხადეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და მოგვიანებით არჩევანი გააკეთეს სრულ დამოუკიდებლობაზე, როდესაც მოლდოვა თავად გამოეყო საბჭოთა ფედერაციას. ეს წინააღმდეგობრივი განცხადებები ომის თანხლებით კეთდებოდა. 1992 წელს მოლდოვის მთავრობის ბენდერზე თავდასხმამ გამოიწვია რუსეთის მეთოთხმეტე არმიის პირველი დიდი ინტერვენცია, რომელიც დნესტრისპირეთში, სეპარატისტების მხარეს განლაგდა. რუსულმა ჯარებმა უკეთესი ცეცხლსასროლი შეიარაღების გამოყენებით მოლდოველები ქალაქიდან გააძევეს. ბრძოლის შემდეგ ძალთა არასახარბიელო ბალანსმა გამოიწვია ცეცხლის შეწყვეტის ოფიციალური შეთანხმება და რუსეთის, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის სამმხრივი სამშვიდობო ძალების განლაგება. ეუთოსა და რეგიონული მეზობლების მიერ დაფინანსებული მოლაპარაკებების მრავალი რაუნდის მიუხედავად, დნესტრისპირეთის საბოლოო სტატუსზე შეთანხმება ჯერ არ მიღწეულა.

ერთი შეხედვით, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა არ ჰგავდა მოლდოველებსა და დნესტრისპირელებს შორის ურთიერთობას. აფხაზები გამორჩეული ეთნიკური მოსახლეობაა, რომლებიც საუბრობენ ქართული ენისაგან სრულიად განსხვავებულ ენაზე. საბჭოთა პერიოდში აფხაზებს მიენიჭათ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის ფარგლებშიც ისინი სარგებლობდნენ პრივილეგირებული პოზიციით პარტიულ და სახელმწიფო იერარქიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იქ მოსახლეობის ერთ მეხუთედზე ნაკლებს შეადგენდნენ. თუმცა, 1980-იანი წლების ბოლოს განვითარებული მოვლენები მოლდოვას ვითარების მსგავსი იყო. ქართული ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების დაღმავლობის დღეებში აღორძინდა, რამაც საბოლოოდ დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა მოიტანა.

აფხაზებმა ამაზე რეაგირება მოახდინეს და მოითხოვეს მეტი ადგილობრივი ავტონომია და დამოუკიდებელი საქართველოს

პოლიტიკაში სიტყვის უფლება. აფხაზურ და ადგილობრივ ქართულ უმრავლესობას შორის შეტაკებები დაიწყო. 1992 წლის დასაწყისში საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უარი თქვა მოლაპარაკებებზე აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან და ამას მოჰყვა სრულმასშტაბიანი ომი. ქართული ჯარები აფხაზეთში შევიდნენ რეგიონული ხელისუფლების განდევნის მიზნით და მოახერხეს რეგიონალური დედაქალაქის, სოხუმის აღება და დაკავება. თუმცა, 1993 წლის ბოლოს აფხაზურმა მილიციამ, რუსული ძალების დახმარებით, უკან დააბრუნა არასათანადოდ მომზადებული ქართული ჯარები და მდინარე ენგურამდე განდევნა, რომელიც გამყოფი ხაზია საქართველოსა და აფხაზეთს შორის. რუსეთის შუამავლობით დადებული ხელშეკრულება 1994 წლის მაისში ითვალისწინებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამშვიდობო მისიის (პრაქტიკაში სრულად რუსული ძალის) განლაგებას მდინარის გასწვრივ უსაფრთხოების ზონის მონიტორინგისთვის. მას შემდეგ გაეროს შუამავლობით გაგრძელდა მოლაპარაკებები აფხაზეთის საბოლოო სტატუსზე.

აფხაზებისგან განსხვავებით, ოსები ისტორიულად არ იყვნენ საქართველოში კონცენტრირებულნი ახლანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე; მათი კულტურული ცენტრი ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე იყო, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია.[16] თუმცა, 1989 წლისთვის სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ორი მესამედი ეთნიკურად ოსი იყო. ქართველებსა და ოსებს შორის ძლიერი ინტერკულტურული კავშირების ისტორიის მიუხედავად, 1980-იანი წლების ბოლოს პოლიტიკურმა კლიმატმა ადგილობრივი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნათა კასკადი წაახალისა. 1988 და 1989 წლებში საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული ენის გამოყენების გასაძლიერებლად და ცოტა ხნის შემდეგ უარყო რეგიონის ლიდერების მოთხოვნა სამხრეთ ოსეთის სტატუსის „ავტონომიური რეგიონიდან“ „ავტონომიურ რესპუბლიკად“ დაწინაურების შესახებ. იგივე შეეხო აფხაზეთის სტატუსის ამაღლების მოთხოვნასაც. ისევე როგორც დნესტრისპირეთში მოჰყვა რეაქცია მოლდოვის ენობრივ რეფორმებს, აქაც ოსი ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ ენობრივი რეფორმები მათ უსამართლოდ დააზარალებდა. თუმცა, ნაპერწკალი, რომელმაც ძალადობა გააღვივა, 1990 წელს გაჩნდა,

[16] ამ საკითხზე გამოთქმული მყარი შეხედულების გასაცნობად იხ. Anzor Totadze, *The Ossets in Georgia* (Tbilisi: Samshoblo, 1994); თოთაძე არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე.

როდესაც რეგიონულმა ადმინისტრაციამ სამხრეთ ოსეთი ცალკე რესპუბლიკად გამოაცხადა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებისკენ დაიწყო მუშაობა და ცოტა ხნის შემდეგ ჩაატარა არჩევნები სამხრეთ ოსეთის ცალკე პარლამენტის ასარჩევად, რაც ერთგვარი ვარიაცია იყო ყარაბაღის თემაზე. ამის საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა სამხრეთ ოსეთის არსებული ავტონომიური სტატუსის გაუქმებას. პრეზიდენტმა შევარდნაძემ უბრძანა რეგიონში ჯარების შეყვანა, მაგრამ მათ ოსმა არალეგალურმა ფორმირებებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის ფედერაციის სხვა ნაწილებიდან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. 1992 წლის ივლისში მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და მოლაპარაკებებს ეუთოს ეგიდით.

III. სახელმწიფოს ფარული აღმშენებლობის პოლიტიკა

პოლიტიკური ელიტები, რომლებმაც აღნიშნული ომები განახორციელეს, დღესაც დიდწილად იგივეა ეროვნულ დედაქალაქებშიცა და სეპარატისტულ რეგიონებშიც. უმეტესობა კვლავ გვიანი „პერესტროიკის“ პერიოდის მოვლენებზე მიუთითებს, რომ ახსნას, თუ რატომ იფეთქა ძალადობამ და რატომ იყო კონფლიქტის სტაბილური მოგვარება ასე მოუხელთებელი. ყარაბაღის ლიდერები ადგილობრივი ავტონომიის გაუქმებასა და სუმგაითში ეთნიკური სომხების ხოცვა-ჟლეტაზე საუბრობენ. დნესტრისპირელები საუბრობენ კულტურული „რუმინიზაციის“ საფრთხეზე და მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანების არასასურველ შესაძლებლობაზე. აფხაზები და ოსები მიზეზად საქართველოს რეპრესიულ კულტურულ პოლიტიკას და ადგილობრივი ავტონომიიდან დაქვეითებას ასახელებენ, რომელიც საბჭოთა პერიოდში ორივე რეგიონს ჰქონდა.

თუმცა, ეს სავარაუდო ძირეული მიზეზები საბოლოო მოუგვარებლობის არასაიმედო ახსნაა. ცენტრალური მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობამ ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთა, რასაც კონფლიქტების მოგვარების ტრადიციული სიბრძნე გვთავაზობს, რათა მიუკერძოებელი გადაწყვეტილებისთვის მიეღწიათ. ზოგადად შეთანხმებულ სტაბილურ ცეცხლის შეწყვეტას გარე მხარეები აკონტროლებენ. რეგულარული მოლაპარაკებები გაგრძელდა გაეროს და ეუთოს

ეგიდით, შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით. მთავრობებმა, სხვადასხვა მასშტაბით, შეცვალეს თავიანთი კონსტიტუციები, მოქალაქეობის შესახებ კანონები, საგანმანათლებლო დებულებები და ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურები, რათა უზრუნველეყოთ სამოქალაქო უფლებების დაცვის გარანტიები და ადგილობრივი ავტონომია, რამაც სამივე აღიარებულ სახელმწიფოს - აზერბაიჯანს, მოლდოვასა და საქართველოს - ევროპის საბჭოში გაწევრიანების საშუალება მისცა.

საბოლოო მოგვარების რეალური დაბრკოლება იყო ის, რომ გადაუჭრელი საჩივრებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების ფასადის მიღმა, პოლიტიკურმა ელიტებმა თითოეულ რეგიონში მოახერხეს აეშენებინათ სახელმწიფოები, რომლებიც ახლა ფუნქციონირებენ ისევე როგორც აღიარებული ქვეყნები, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი ჯერ კიდევ არიან. გარდა ამისა, ამ არაღიარებულ ერთეულებს იცავენ დამოუკიდებელი სამხედროები, რომელთაგან ყველას აქვს ჯავშანტექნიკის მნიშვნელოვანი მარაგი: 15000-დან 20000-მდე კაცი ყარაბაღში, 5000-დან 10000-მდე დნესტრისპირეთში, 2000 სამხრეთ ოსეთში, 50000 აფხაზეთში.[17]

ამავდროულად, კონფლიქტის ზონების მიღმა მყოფმა ინტერესთა ჯგუფებმა ისწავლეს ცხოვრება თავიანთი ქვეყნების აქტიური დაყოფის პირობებში, ეძებენ გზებს, რომ სარგებელი მიიღონ სახელმწიფო აპარატიდან, რომელიც ქრონიკულად დასუსტებულია და, ამ პროცესში, უზრუნველყონ მისი ამავე მდგომარეობაში დარჩენა. სახელმწიფოს ფარული აღმშენებლობის მექანიზმები სულ უფრო ცხადი ხდება თითოეულ შემთხვევაში: სახელმწიფოს სისუსტიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი, ძირითადი გარე აქტორების მხარდაჭერა, სახელმწიფოებრიობის ლეგიტიმაცია კულტურული და საგანმანათლებლო პოლიტიკის მეშვეობით, ცენტრალური ხელისუფლები თანამზრახველობა და ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო მომლაპარაკებლების წინასწარგანუზრახველი დახმარება.

სუსტი სახელმწიფოების პოლიტიკური ეკონომიკა

ნებისმიერი საზომით, აზერბაიჯანი, საქართველო და მოლდოვა განსაკუთრებით სუსტი სახელმწიფოები არიან. 1999 წელს სამივე

[17] *The Military Balance, 2000–2001* (London: International Institute for Strategic Studies, 2000),100.

ქვეყანაში მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 650 დოლარზე ნაკლები იყო. პირველ ორში, სახელმწიფო შემოსავლები (მათ შორის უცხოური გრანტები) მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტს ან ნაკლებს შეადგენს, რაც ყველაზე ძირითადი სახელმწიფო ფუნქციების უზრუნველსაყოფადაც კი ძალიან დაბალია.[18] თითოეული ქვეყნის ტერიტორიის, მოსახლეობისა და დოვლათის მწარმოებელი პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი - სეპარატისტული რეგიონები - მთლიანად ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეთ რჩება. ყარაბაღი და ოკუპირებული ბუფერული ტერიტორიები აზერბაიჯანის ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტია; აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ერთად საქართველოს 17 პროცენტია; დნესტრისპირეთი მოლდოვის 12 პროცენტია. სეპარატისტული საზოგადოების გარეთაც კი არის ქვეყნის ბევრი ნაწილი, სადაც ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება პრაქტიკულად ნულოვანია, ადგილები, სადაც ხშირია ყაჩაღობა, ადგილობრივი წარჩინებულები მართავენ საკუთარ საქმეებს და ცენტრალური სახელმწიფოს ინსტიტუციების არარსებობა მეტად შესამჩნევია. საშუალო აზერბაიჯანელების, ქართველების და მოლდოველების ცხოვრება იშვიათად იკვეთება სახელმწიფოსთან და როდესაც ეს ხდება, ხშირ შემთხვევაში პოლიციელი ჯარიმის გადახდას მოითხოვს საგზაო მოძრაობის წარმოსახვითი სამართალდარღვევისთვის.

სახელმწიფოს სისუსტეს აშკარა სარგებელი მოაქვს არაღიარებული რეჟიმებისთვის. მეზობელ ქვეყნებთან ბიზნესის განხორციელება შესაძლებელია სამეწარმეო გადასახადების ან ტარიფების გადახდის გარეშე. ძვირადღირებული საქონლის, განსაკუთრებით სიგარეტისა და ალკოჰოლის შემოტანა შესაძლებელია გადამყიდველობით ან ექსპორტისთვის. თუმცა, რესპუბლიკები განსხვავდებიან შედარებითი ეკონომიკური წარმატების თვალსაზრისით. ამ მხრივ, განვითარების შკალაზე ყველაზე დაბლა ალბათ ყარაბაღია. მთიან მხარეში, სადაც გზების უმეტესობა ძნელად სავალია, მცირე ადგილობრივი მრეწველობისა და ჩამონგრეული სასოფლო-სამეურნეო სისტემით, ყარაბაღი ძირითადად სიღარიბეშია. მისი მთელი მოსახლეობა, რომელიც აღრიცხულია 150 000-მდე, ძირითადად საარსებო მეურნეობით ან ირანიდან და სომხეთიდან შემოტანილი საქონლის გადაყიდვით ცხოვრობს.[19] მნიშვნელოვან

[18] ეკონომიკური მაჩვენებელი დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის ანგარიშებზე. იხ. www.worldbank.org.

[19] ავტორთა ინტერვიუები სტეფანაკერტში, 27–28 სექტემბერი, 2000 წ.

ურბანულ ცენტრებს, როგორიცაა ქალაქი შუში, ჯერ კიდევ არ აღუდგენიათ ომის დროს განადგურებული საცხოვრებელი კორპუსები და ოფისები. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, საერთაშორისო დახმარების მეშვეობით მინდვრებისა და სოფლების განაღმვის პროცესი განხორციელდა, სოფლის მეურნეობის წარმოებას აუფეთქებელი იარაღის შესაძლო აფეთქების შიში აფერხებს.[20] თუმცა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეძლო სახელმწიფოსმაგვარი რამ აეშენებინა, საკუთარი საგარეო უწყებით (რომელიც ვიზიტორებს 25 დოლარს ახდევინებს ვიზაში), შეიარაღებული ძალებით, პოლიციითა და სასამართლო სისტემით. ყარაბაღის ავბედით მდგომარეობაშიც კი, მოქალაქეებმა შეძლეს ეკონომიკური შესაძლებლობების გამონახვა. ხის ექსპორტი სომხეთსა და მის გარეთ მზარდ წარმოებად იქცა, მაგრამ მან ასევე სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ტყეების გაჩეხვისა და გრძელვადიანი ზემოქმედების გამო ყარაბაღის ეროზიულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მსგავსი ვითარება შეინიშნება აფხაზეთშიც.[21]

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ყარაბაღზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან. საბჭოთა პერიოდში, პირიქით, ორივე საკმაოდ მნიშვნელოვანი რეგიონი იყო. აფხაზეთმა შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტული ვაჭრობა და თხილის მნიშვნელოვანი მრეწველობა ააყვავა. სამხრეთ ოსეთში არსებული ტყვიისა და თუთიის მაღაროები და მინანქრის ნაწილების მწარმოებელი ქარხნები, ხის ნაწარმის, ლუდისა და ხილის წვენების წარმოება საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. თუმცა, ახლა ამ საწარმოებიდან მხოლოდ რამდენიმეა, რომელიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, რადგან ლტოლვილთა და დევნილთა გადინებამ გაანახევრა ორივე რეგიონის მოსახლეობა, რომელიც 200 000-ზე ნაკლებია აფხაზეთში და 70 000-დან 80 000-მდეა სამხრეთ ოსეთში. ადგილობრივმა მოსახლეობამ სხვა საქმიანობას მიმართა. აფხაზეთში მანდარინი და თხილი რჩება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ გადასახადების გადახდა არ ხდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის; ადგილობრივი ბანდიტური დაჯგუფებების აქტივობა, ფაქტობრივად, სეზონურია, რადგან ბანდიტები ხილის ტვირთების

---

[20] ინტერვიუ ედგარ სარგისიანთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საველე ოფიცერი, სტეფანაკერტი, 28 სექტემბერი, 2000 წ.

[21] Author interview with Tevfik Yaprak, World Bank head of mission, Tbilisi, October 11, 2000;
Svobodnaia Gruziia, September 27, 2000, 4.

ძარცვას ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში ცდილობენ. ასევე მნიშვნელოვანია როგორც უსარგებლო სამრეწველო ასევე ელექტროგადამცემი ხაზებიდან მოპოვებული ჯართით ვაჭრობა. სამხრეთ ოსეთს ნაკლებად აქვს მოქმედი მრეწველობა ან ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა, მაგრამ რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა მისი მთავარი აქტივი იყო. რეგიონული დედაქალაქის, ცხინვალის შესასვლელთან, სამხრეთ ოსეთის საგზაო პოლიციას აქვს საბაჟო გამშვები პუნქტი, რათა თვალყური ადევნოს ვაჭრობის მოზღვავებას ვლადიკავკაზისკენ, ჩრდილოეთ ოსეთის რუსული რესპუბლიკის დედაქალაქისკენ მიმავალ გზატკეცილზე. თუმცა პოლიცია უფრო მეტად ფუნქციონირებს, როგორც ამ ვაჭრობის ხელშემწყობი, ვიდრე მისი დამკვირვებელი. გზის გასწვრივ რუსეთის ფედერაციის საქონლით დატვირთული ასობით სატვირთო მანქანით ბენზინისა და ხორბლის ფქვილის მასიური ბაზარია გამოტანილი.[22] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია დიდ შემოსავალს იღებს ამ ვაჭრობის, ვლადიკავკაზთან საგზაო კავშირის და განსაკუთრებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი მთის გვირაბის კონტროლიდან. ეუთოს ოფიციალური პირების შეფასებით, გვირაბში ყოველწლიურად 60–70 მილიონი აშშ დოლარის საქონელი გაედინება, მაშინ როდესაც სამხრეთ ოსეთის ოფიციალური ბიუჯეტი დაახლოებით 1 მილიონი დოლარია.[23] აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც ნარკოტიკები, განსაკუთრებით ჰეროინი, ტრანზიტული საქონლის სიას შეუერთდა.

ამ ოთხ არაღიარებულ რესპუბლიკებს შორის დნესტრისპირეთის ეკონომიკური მდგომარეობა ალბათ საუკეთესოა. საბჭოთა პერიოდში დნესტრისპირეთი იყო მოლდოვის მრეწველობის საყრდენი; მაშინ როცა მდინარე დნესტრის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა იყო, მძიმე მანქანათმშენებლობისა და ელექტროენერგიის წარმოების ქარხნების უმეტესობა აღმოსავლეთით იყო განლაგებული.[24] ბევრი ჯერ კიდევ ბარტერის საფუძველზე მუშაობს, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა საზღვარგარეთ არსებულ ფირმებთან კონტრაქტის უზრუნველყოფა. ჩრდილოეთ

[22] ავტორის ინტერვიუები ცხინვალში, 2000 წ. 13 ოქტომბერი.

[23] ავტორის ინტერვიუ ეუთოს მისიის მრჩეველთან, ჰანსგიორგ ჰეინრიხთან, თბილისი, 2000 წ. 23 ოქტომბერი.

[24] *IMF Economic Reviews: Moldova, 1993* (Washington, D.C.: International Monetary Fund, 1993), 46.

დნესტრისპირეთში მდებარე რიბნიტას წისქვილი საბჭოთა კავშირში მაღალი ხარისხის ნაგლინი ფოლადის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწარმოებელი იყო, განსაკუთრებით საბრძოლო მასალისთვის. ქარხანა თავდაპირველად 1984 წელს აშენდა გერმანული ტექნოლოგიის გამოყენებით და კვლავაც რჩება ერთ-ერთ საუკეთესოდ ყოფილ საბჭოთა კავშირში იმდენად, რომ დასავლეთ ევროპის ფირმები განაგრძობენ ქარხანასთან კონტრაქტების გაფორმებას. მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ 1990-იანი წლების ბოლოს ფირმაში თარჯიმანთა ჯგუფიც კი მუშაობდა უცხოური შეკვეთების გასაფორმებლად.[25] ქარხნის მოგება უზრუნველყოფს დნესტრისპირეთის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დაახლოებით ნახევარს.[26] დნესტრისპირეთის საერთაშორისო კავშირებზე მიუთითებს ისიც, რომ „დნესტრის მოლდოვის რესპუბლიკის რუბლი“, რომელიც 1994 წელს რეგიონის ოფიციალურ ვალუტად იქნა შემოღებული, გერმანიაში დაიბეჭდა. ფოლადის გარდა, იწარმოებოდა აგრეთვე მცირე შეიარაღებაც, რაც - მნიშვნელოვან წარმოებას წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდში. დნესტრისპირეთის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი მიესალმა ამ წარმოების ექსპორტს, როგორც მისი რესპუბლიკის მნიშვნელობის სიმბოლოს მსოფლიო ასპარეზზე და მისი კავშირისა იმ სხვა ქვეყნებთან, სადაც ადამიანები იბრძვიან, როგორიცაა კოსოვო, ჩეჩნეთი, აფხაზეთი და სხვები.[27] მოლდოვას ეკონომიკის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, დნესტრისპირეთის მდგომარეობა გარკვეულ სფეროებში უკეთ გამოიყურება. შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი უფრო მაღალია და სამომხმარებლო საქონლის გარდა ყველა ძირითად სფეროში, სეპარატისტული რეგიონი წმინდა „ექსპორტიორია“ დანარჩენ მოლდოვაში, რომელიც უფრო მეტ სამშენებლო მასალას, ქიმიურ ნივთიერებებს, შავ ლითონებს და ელექტრო ენერგიას აწვდის, ვიდრე იღებს.[28]

რუსეთი, დიასპორის პოლიტიკა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა

---

[25] ავტორის ინტერვიუები დნესტრისპირეთის ფოლადის მწარმოებელ მუშებთან, რიბნიტა, 1997 წ. 1 აგვისტო.

[26] *Oxford Analytica East Europe Daily Brief*, January 11, 1999.

[27] ავტორის ინტერვიუ მოლდოვას პოლიციის კომისიის წევრთან, ვალერიუ პრუდნიკოვთან, ბენდერი, 1997 წ. 1 აგვისტო.

[28] *Republic of Moldova: Economic Review of the Transnistria Region, June 1998* (Washington, D.C.: World Bank, 1998), 27.

ეს კონფლიქტები თავიდანვე არ ყოფილან უბრალო დაპირისპირებები ურთიერთწინააღმდეგობრივად განწყობილ ეთნიკურ უმცირესობასა და ნაციონალიზებულ ცენტრალურ მთავრობას შორის. მათში ჩართული ურთიერთობები კიდევ უფრო რთული იყო, ვიდრე როჯერს ბრუბეიკერის „ტრიადული კავშირი“ - ეთნიკური უმცირესობა, ცენტრალური ხელისუფლება, გარე სამშობლო - მოიაზრებდა.[29] მართლაც, ბევრ დაინტერესებულ მხარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სეპარატისტული რესპუბლიკების დასახმარებლად არა მხოლოდ ომების მოგებაში, არამედ შემდგომ სახელმწიფოებრიობის კონსოლიდაციაშიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ფედერაცია. პოსტსაბჭოთა ომების რუსული ოფიციალური ისტორია ამტკიცებს, რომ მოსკოვმა დამამშვიდებელი როლი შეასრულა თითოეულ კონფლიქტში.[30] თუმცა, ცხადია, რომ რუსეთის დახმარება გადამწყვეტი კომპონენტი იყო სახელმწიფოს აღმშენებლობის ადრეულ ეტაპებზე. იქნებოდა ეს ბრიგადის მეთაურების ახირებით თუ მოსკოვის პოლიტიკის დირექტივით, საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც მოგვიანებით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ჯარები გახდა, სეპარატისტული დაჯგუფებებისთვის იარაღის (და ხშირად ჯარისკაცების) მთავარი მიმწოდებელი იყო. 1991 და 1992 წლების განმავლობაში მოლდოველებმა საბჭოთა და რუსეთის მთავრობებს მრავალი ნოტა გაუგზავნეს, რითაც მეთოთხმეტე საბჭოთა არმიის ჩართვას აპროტესტებდნენ დნესტრისპირეთის მხარეს.[31] 1991 წლის დეკემბერში რუსეთის არმიის სარდალმა დატოვა თანამდებობა, რათა გამხდარიყო დნესტრის გვარდიის, დნესტრის მოლდოვის რესპუბლიკის ახლად შექმნილი არმიის მეთაური; მას მიბაძა მისმა ყოფილი შტაბის უფროსმაც, რომელიც რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გახდა.[32] 1993 წლის შუა პერიოდისთვის აზერბაიჯანმა შეძლო რუსეთის ჯარების სრული გაყვანა თავისი ტერიტორიიდან, მაგრამ სომხეთში დარჩენილი ძალები - რუსეთის მეშვიდე არმია, - როგორც ცნობილია, ომის დროს ეხმარებოდნენ როგორც სომხეთის სამთავრობო ჯარებს, ასევე ყარაბაღის არარეგულარულ

[29] იხ. Brubaker, *Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe,* (Cambridge: Cambridge University Press, 1996), განსაკ. თავი 3.

[30] იხ. Золотарев (სქოლიო. 14), განსაკ. თავი 8.

[31] *Moldova suverana*, June 11, 1991, 1; *Curierul national*, April 4, 1992, 1, 7; *Romania libera*, April
4–5, 1992, 8.

[32] Stephen Bowers, “The Crisis in Moldova,” *Jane’s Intelligence Review* (November 1992), 484.

შეიარაღებულ ძალებსაც. რუსულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ბრძოლებში მონაწილე ჯარისკაცების სახელები, ხოლო 1992 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დააწინაურა მეთოთხმეტე და მეშვიდე არმიების მეთაურები დნესტრისპირეთისა და ყარაბაღის კამპანიებში ლიდერობისთვის.[33] აფხაზეთში მდებარე რუსეთის 345-ე საჰაერო სადესანტო პოლკიდან იარაღისა და ჯარისკაცების გაჟონვამ და თავისუფალი მებრძოლების შემოდინებამ რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიიდან, ხელი შეუწყო აფხაზეთის მიერ ქართული ძალების დამარცხებას.[34]

ომებიდან მოყოლებული, რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა თითოეულ ამ შემთხვევაში რთული იყო, თუმცა, ის იმ სამი ძირითადი ელემენტის გარშემო იყო ორიენტირებული, რომლებიც გადამწყვეტი რესურსები აღმოჩნდნენ არაღიარებული რესპუბლიკებისთვის. პირველ რიგში, რუსეთის ეკონომიკური მხარდაჭერა არსებითი იყო. გაზპრომი -რუსული გაზის მონოპოლისტი - მაშინ, როდესაც აზერბაიჯანზე, მოლდოვასა და საქართველოზე ზეწოლას ახორციელებს უზარმაზარი ენერგოვალის გადასახდელად, სუბსიდირებული გაზის მიწოდებას განაგრძობს სეპარატისტული ტერიტორიებისთვის. რუსმა ოფიციალურმა პირებმა თანამდებობებიც კი შეავსეს წამყვან ეკონომიკურ ინსტიტუციებში. გავრცელებული ინფორმაციით, 1996 წლის ბოლომდე დნესტრისპირეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი რუსეთის დაზვერვის სამსახურის წევრი იყო; ამის შემდეგაც ბანკის ჩინოვნიკები ტრენინგებს გადიოდნენ მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში.[35]

---

[33] რადიო День, 19929 წლის 15-19 აგვისტო და რადიო Маяк, 1992 წლის 18 სექტემბერი. ციტატები იხ. Mihai Gribincea, *Politica rusa a bazelor militare: Moldova si Georgia* (რუსეთის პოლიტიკა სამხედრო ბაზებზე: მოლდოვა და საქართველო) (Chisinau: Civitas, 1999), 15. მიჰაი გრიბინცეას წიგნი ყველაზე საფუძვლიანად იკვლევს რუსი სამხედროების როლს მოლდოვასა და საქართველოში. იხილეთ ასევე იგივე ავტორის მიერ, *Trupele ruse in Republica Moldova: factor sta bilizator sau sursa de pericol?* (რუსული ჯარები მოლდოვის რესპუბლიკაში: სტაბილიზების მომტანი ფაქტორი თუ საშიშროების წყარო?) (Chisinau: Civitas, 1998).

[34] Gribincea (სქოლიო 33, 1999), 42–43.

[35] ავტორის ინტერვიუ ელენა ნიკულინასთან, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთან, კიშინიოვი, 1997 წლის 29 ივლისი. თუმცა იგივე შეიძლება ითქვას აღიარებულ სახელმწიფოებზეც. რუსეთი აგრძელებს გაზის სუბსიდირებულ მიწოდებას, რადგან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ვალების გადახდა ხშირად ხდება სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებით, რომლებიც, როგორც გაზპრომი უნდა აცნობიერებდეს, პრაქტიკულად უსარგებლოა.

მოლდოვასთან და საქართველოსთან მოლაპარაკებები რუსული ჯარების გაყვანის თაობაზე დაკავშირებულია სეპარატისტული დავების გადაწყვეტასთან. 1999 წელს მოლდოვამაც და საქართველომაც მოახერხეს რუსეთის შეთანხმების აღსრულების უზრუნველყოფა სრულმასშტაბიანი გაყვანის შესახებ, მაგრამ ორივე შემთხვევაში დეტალები იყო გადამწყვეტი. მოლდოვის მთავრობამ, 1994 წელს რუსეთისა და ეუთოს ზეწოლის ქვეშ, ხელი მოაწერა შეთანხმებას. შეთანხმების მანდატის ფარგლებში მეთოთხმეტე არმიის გაყვანა დნესტრისპირეთის საბოლოო სტატუსთან „სინქრონიზაციით“ უნდა მომხდარიყო. ამ შეთანხმებამ ფაქტობრივად გაყვანის მოლაპარაკებებში დაბლოკა რეალური პროგრესი, ვინაიდან გაურკვეველია, გასვლა უნდა უსწრებდეს კონფლიქტის მოგვარებას, თუ პირიქით. რუსული ჯარების ძალა ახლა გაცილებით დაბალია, ვიდრე წარსულში - 2000 წელს, დაახლოებით ორიათასექვსასი კაცი, ამას მიმატებული ადგილობრივი კონტრაქტით დაქირავებულები, რეორგანიზებული, როგორც "ოპერატიული ჯგუფი" და არა ჯარი[36] - თუმცა შეიარაღებული ჯარის განთავსება კვლავ ხელსაყრელია დნესტრისპირეთისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს სამოქალაქო და სამხედრო დასაქმებას ადგილობრივი მოქალაქეებისთვის და უსაფრთხოების განცდას არაღიარებული რეჟიმისათვის.[37]

საქართველოში რუსული სამხედრო ძალების შემცირება 2000 წელს დაიწყო. თუმცა, შეიარაღების დიდი ნაწილი სომხეთში გადავიდა, რომელთანაც რუსეთს გრძელვადიანი ბაზირების ხელშეკრულება აქვს დადებული; ამან, თავის მხრივ, გააღვიძა აზერბაიჯანელთა შიში, რომ ზოგიერთი სამხედრო ტექნიკა საბოლოოდ გზას იპოვიდა როგორც სომხების, ისე ყარაბაღელთა ხელში მოსახვედრად.[38] რუსეთის სამხედრო ბაზა აფხაზეთში თითქმის იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ჯარების ყოფნა დნესტრისპირეთში: ის უზრუნველყოფს დასაქმებასა და უსაფრთხოებას ცალკეული მოქმედი რეჟიმისთვის. რუსეთისა და საქართველოს მთავრობებმა აწარმოეს მოლაპარაკებები აღნიშნული ბაზის რუსი

---

[36] *The Military Balance* (სქოლიო 17), 125.

[37] 1995 წლის მარტში დნესტრისპირეთის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ამომრჩეველთა 93 პროცენტს სურდა მუდმივი რუსული ბაზის ყოფნა რეგიონში.

[38] აზერბაიჯანის ოფიციალური პირები ვარაუდობენ, რომ თურქული ჯარების განლაგება ნახიჩევანში, სომხეთის, თურქეთისა და ირანის მოსაზღვრე აზერბაიჯანულ ანკლავში, შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც პასუხი სომხეთში რუსული ძალების ზრდაზე. «Свободная Грузия», 25 октября 2000 г., 4.

სამშვიდობოების სარეაბილიტაციო პუნქტად გადაქცევის თაობაზე, მაგრამ ირალიყის შეცვლა არსებითად ვერ შეცვლიდა იმ ძლიერ როლს, რომელსაც ეს ობიექტი ასრულებს აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.[39] მოლდოვაშიც და საქართველოშიც რუსი ჯარისკაცების და სამშვიდობოების ხელფასიც კი, რომელიც რუბლებში უნაზღაურდებათ, უზრუნველყოფს იმას, რომ დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ეკონომიკურად რუსეთთან დარჩნენ და არა მათ აღიარებულ ცენტრალურ მთავრობებთან, რადგან ადგილობრივი საქონელის და მომსახურების შეძენა რუბლებით ხდება და არა ეროვნული ვალუტით.[40] ამ მიზეზების გამო, დნესტრისპირელები და აფხაზები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ბაზები ადგილზე დარჩენილიყვნენ ან, თუ მათ დახურავდნენ, მაშინ რუსული სამხედრო ტექნიკა დნესტრისპირეთისა და აფხაზეთის მაკონტროლებელ ორგანოებს გადასცემოდა.[41]

მესამე, რუსეთის მოქალაქეობამ და სავიზო პოლიტიკამ წაახალისა სეპარატისტული რეგიონები, რომ თავი ფაქტობრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეჩვენებინათ. აზერბაიჯანი, მოლდოვა და საქართველო სიფრთხილით ეკიდებოდნენ ორმაგი მოქალაქეობის დაშვებას, იმის შიშით, რომ არაღიარებული რესპუბლიკების მაცხოვრებლები უცხო ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებდნენ და კიდევ უფრო მეტად მოწყდებოდნენ ცენტრს.[42] მიუხედავად ამისა, ბევრმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. დნესტრისპირეთის ადმინისტრაციის მონაცემებით, სამოცდახუთიათასი ადამიანი (მოსახლეობის დაახლოებით 10%) ამჟამად რუსეთის მოქალაქეობას ფლობს.[43] ქართველი ოფიციალური პირები წუხილს გამოთქვამენ, რომ აფხაზებმა და სამხრეთ ოსებმაც იგივე გააკეთეს, მით უმეტეს, რომ მათი საარსებო წყაროს დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში იოლად

---

[39] *Georgia Today*, October 6–12, 2000, 4.

[40] რუსეთის სამშვიდობო ძალებს, თუმცა ისინი რეგულარული არმიის პერსონალის მეთაურის ცალკე ბრძანებას ექვემდებარებიან, მსგავსი გავლენა აქვთ ადგილობრივ ეკონომიკაზე. 2000 წლის დასაწყისისთვის აფხაზეთში ათასხუთასამდე რუსი სამშვიდობო იყო (ოფიციალურად, დსთ-ს სამშვიდობო მისია), ხუთასი სამხრეთ ოსეთში და ხუთასი დნესტრისპირეთში.

[41] «Свободная Грузия», 24 октября 2000 г., 3; 25 октября 2000 г., 1.

[42] 2000 წლის აგვისტოში მოლდოვამ მიიღო ახალი კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ორმაგ მოქალაქეობას ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. თუმცა, ამჟამად მოლდოვას არ აქვს მსგავსი შეთანხმებები უცხო ქვეყნებთან.

[43] *Oxford Analytica East Europe Daily Brief*, June 29, 2000.

გამგზავრების შესაძლებლობაზე არის დამოკიდებული. მოქალაქეობის ვარიანტი კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში საკონტრაქტო სამსახური აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში მცხოვრები ბევრი ადგილობრივი მოსახლისთვის მიმზიდველი ვარიანტი იყო, რადგან ამ გზით შეიძლება პასპორტისა და მოქალაქეობის მოპოვება. რუსეთის სავიზო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა არამოქალაქეებისთვისაც კი გააღრმავა უფსკრული სეპარატისტულ ზონებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. წინა სავიზო რეჟიმის პირობებში, ყოფილი საბჭოთა საზოგადოების მოქალაქეებს შეეძლოთ რუსეთში უვიზოდ გამგზავრება. მაგრამ ჩეჩნეთის ომების ფონზე საზღვრების უსაფრთხოების გამკაცრების პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთმა გამოაცხადა, რომ შეთანხმებიდან გამოდის და გარკვეული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის ვიზების მოთხოვნას დაიწყებს. 2000 წლის ბოლოდან რუსეთის რეგულარული ვიზები სავალდებულო გახდა საქართველოს მოქალაქეებისთვის, მაგრამ არა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის.

უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, რუსეთი არ არის ერთადერთი გარე ფაქტორი სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის. დიასპორულმა პოლიტიკამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სომხეთისა და სომხური დიასპორის გარეშე ყარაბაღი ვერ იარსებებდა. ყველა პრაქტიკული თვალსაზრისით, ყარაბაღი ახლა უფრო სომხეთის ავტონომიური ოლქია, ვიდრე აზერბაიჯანის ნაწილი. კანონიერი გადახდის საშუალება სომხური დრამია და არა აზერბაიჯანული მანათი. ყარაბაღის მცხოვრებლების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხეთის მოქალაქეა და სომხური პასპორტით მოგზაურობს საზღვარგარეთ; ზოგიერთმა მათგანმა სომხეთში პოლიტიკური თანამდებობაც კი დაიკავა - მათ შორის არის რობერტ ქოჩარიანი, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო ყარაბაღის და ახლა კი სომხეთის პრეზიდენტიც. სომხეთის ქალაქ გორისის სტეფანაკერტთან დამაკავშირებელი გზატკეცილი, ომის დროს გამოკვეთილი ეგრეთ წოდებული ლაჩინის დერეფანი, ახლა შესაძლოა ყველაზე კეთილმოწყობილი გზა იყოს მთელ სამხრეთ კავკასიაში. ევროპული სტანდარტებით აშენებული გზა ნაწილობრივ უცხოეთში მცხოვრებმა სომხებმა დააფინანსეს, რითაც შეიძლება აიხსნას ის უცნაური ესპანურენოვანი ნიშანი სტეფანაკერტის გარეთ, რომელიც არგენტინის წვლილს ადასტურებს მის მშენებლობაში. სამხედრო კოლონები

რეგულარულად მოძრაობენ გზატკეცილზე, საწვავი ყარაბაღში მიაქვთ და სომხეთში ხე-ტყით დატვირთულები ბრუნდებიან. პირობითი საერთაშორისო საზღვარი კი მხოლოდ პოლიციის პატარა საგუშაგოა. დაიწყო უცხოური ინვესტიციების შემოდინება უცხოეთიდან, ჩვეულებრივ სომხური თემებიდან. შვეიცარიელმა სომეხმა ბიზნესმენებმა დაახლოებით 900000 აშშ დოლარის ინვესტიცია ჩადეს საათების მწარმოებელ ქარხანაში; სხვებმა 2 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს სტეფანაკერტის ცენტრალური სასტუმრო „ყარაბაღის“ გასარემონტებლად; სხვა ინვესტორებმა პირობა დადეს, რომ დაახლოებით 17 მლნ აშშ დოლარს გაიღებდნენ ყარაბაღში შუა საუკუნეების დროინდელი თვალწარმტაცი მონასტრების მახლობლად ტურისტული ობიექტების ასაშენებლად.[44]

ჩამოთვლილი არაღიარებული სახელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზეც ისე მოქმედებენ, თითქოს დამოუკიდებელი სუბიექტები იყვნენ და ერთმანეთთან დიდი თანამშრომლობა აკავშირებთ. მათ ოფიციალურად აღიარეს ერთმანეთის არსებობა. ოთხივე პრეზიდენტი გაცვლითი ვიზიტებით სტუმრობს დანარჩენ რესპუბლიკებს ეროვნული დღეების აღნიშვნის დღესასწაულებზე. ოფიციალური დელეგაციები ხელს აწერენ სავაჭრო ხელშეკრულებებს, ხოლო ფირმები იმპორტსა და ექსპორტს აფორმებენ. უსაფრთხოების სამსახურები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას შესაძლო საფრთხეების შესახებ. მაგალითად, 2000 წლის შემოდგომაზე მოლდოველი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების დელეგაცია მოკლე ტურით ეწვია საქართველოს. მოლდოველებმა ეუთოს ადგილობრივი ოფისის მეშვეობით იკითხეს, შეეძლოთ თუ არა, რომ მათი პროგრამის ფარგლებში სამხრეთ ოსეთში ემოგზაურათ. ეუთომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას მიმართა, კატეგორიულად უარყოფითად უპასუხა მათ კითხვას. როგორც გაირკვა, დნესტრისპირეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე სულ რამდენიმე კვირით ადრე იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთში, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ

---

[44] ავტორის ინტერვიუები სტეფანაკერტში, 2000 წლის 27–28 სექტემბერი; (ელექტრონული ვერსია იხ. www.russiajournal.com/weekly); *Radio Free Europe/Radio Liberty Armenia Report* (May 1, 2000). თუმცა, დიასპორის მხარდაჭერას არ ჰქონდა ისეთი ენთუზიაზმი, როგორც ყარაბაღის ლიდერებს სურდათ. 2000 წელს ყარაბაღის პრემიერ ანუშავან დანიელიანის მიერ შეერთებულ შტატებში გამართულმა ტურნემ დაახლოებით 5 მილიონი დოლარის დაპირება მოიტანა. კამპანია იმედოვნებდა, რომ ამაზე ოთხჯერ მეტს მოიპოვებდა.

დღესასწაულებზე დასასწრებად და მან მკაცრად გააფრთხილა ოსეთის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, რომ მოლდოვაში ვიზიტზე თანხმობა არ განეცხადებინათ.45 მსგავსი სამუშაოები ოფიციალურად 2000 წლის ნოემბერში განხორციელდა, როდესაც ოთხი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ოფიციალური კონფერენცია გამართეს დნესტრისპირეთის დედაქალაქ ტირასპოლში და პირობა დადეს, რომ თავიანთი პოზიციების კოორდინირებას მოახდენდნენ სამ ცენტრალურ მთავრობასთან მოლაპარაკებებში.

მკვიდრთა მოქალაქედ ქცევა

ოთხივე კონფლიქტის დასაწყისიდანვე ადგილობრივი ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების ხელში ჩაგდებაზე გადავიდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტები გადაკეთდა უნივერსიტეტებად, დაარსდა ახალი „მეცნიერებათა აკადემიები“ და დაფუძნდა ახალი ეროვნული ფესტივალები. ისტორიის სასწავლო გეგმები იმგვარად გადაკეთდა, რომ სეპარატისტული რეგიონების მოქალაქეები წარმოედგინათ თავიანთი ტერიტორიის ძირძველ მცხოვრებლებად და გაეძლიერებინათ კავშირი სახელმწიფოებრიობის წინა ფორმებსა და ამჟამინდელ, არაღიარებულ სახელმწიფოებს შორის. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის ახალმა სამინისტრომ დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის მოგზაურთა ნაშრომების რეპროდუცირება, რომლებიც აღწერდნენ ოსების წეს-ჩვეულებებს, რათა „მასებამდე მიეტანა ოსეთისა და ოსების ისტორიის ყველაზე საინტერესო გვერდები“.[46] ოსებმა თავიანთი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის სათავეები ძველ ირისთონში, ირანულენოვანი ალანების დასახლების ქვეყნებში აღმოაჩინეს; ამგვარად, ისინი, როგორც ახალი ოსური ენციკლოპედია ამტკიცებდა, თავიანთ რესპუბლიკაში ნამდვილ „ავტოქტონურ მოსახლეობად“ ითვლებოდნენ.[47]

ადგილობრივი ინტელექტუალებიც შეძლებისდაგვარად

---

[45] ავტორის ინტერვიუ Viitorul Foundation-ის დირექტორთან, იგორ მუნტეანუსთან, თბილისი, 2000 წლის 12 ოქტომბერი.

[46] Александр Яновский, Осетия (Осетия) (Цхинвал: Министерство информации и печати Республики Южная Осетия, 1993), 3, რედაქტორის წინასიტყვაობიდან.

[47] А. Б. Дзадзиев, Х. Дзуцев В., Караев С.М., *Этнография и Мифология Осетин* (Владикавказ: н.п., 1994), 64.

ძალისხმევას არ იშურებდნენ კულტურული თუ ისტორიული გმირების აღმოსაჩენად, რომელთა ირგვლივ ნახევრადოფიციალური კულტების აგება შეიძლებოდა. დნესტრისპირეთში, ალექსანდრე სუვოროვი, მეთვრამეტე საუკუნის ფელდმარშალი, რომელმაც დნესტრისპირეთი დაიპყრო და რუსეთის იმპერიას დაუქვემდებარა, დნესტრის მოლდოვის რესპუბლიკის სიმბოლო გახდა, მისი სახე დნესტრისპირეთის ახლადმოჭრილ რუბლზე გამოჩნდა. სამხრეთ ოსეთში მეცხრამეტე საუკუნის პოეტის, კოსტა ხეთაგუროვის ქანდაკება, სექტემბერში ყოველწლიური „რესპუბლიკის დღის“ ერთ-ერთი მთავარი საზეიმო ადგილი გახდა. სახელმწიფოებრიობის უწინდელი ინსტანციები, რაც არ უნდა სუსტი ყოფილიყვნენ, ამ საქმეში იყვნენ ჩართულნი. ყარაბაღის სომხებმა მიუთითეს საკუთარ ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ რესპუბლიკაზე, რომელიც 1920-იან წლებში ყარაბაღის საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში შესვლამდე არსებობდა. აფხაზი მწერლები ადიდებდნენ თავიანთ 1925 წლის კონსტიტუციას, რომელმაც ავტონომიური რეჟიმი დაამყარა. დნესტრისპირელებმა თავიანთი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის საფუძვლად მოლდოვის ავტონომიური რესპუბლიკა დაასახელეს, რომელიც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში საბჭოთა უკრაინის შიგნით არსებობდა.[48]

თვით შეიარაღებული კონფლიქტებიც ისე აღიქმებოდა, როგორც გარე აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ბავშვები, რომლებიც კონფლიქტების დაწყების დროისათვის არც კი იყვნენ დაბადებულნი, ახლა თითქმის მოზარდები არიან. იმ შეხედულებით იზრდებიან, რომ ის რესპუბლიკები, სადაც ისინი ცხოვრობენ არა მხოლოდ უძველეს ერებს წარმოადგენენ, არამედ ასევე ომისა და მსხვერპლშეწირვის განსაცდელში არიან გამოწრთობილნი. 2000 წელს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის აღსანიშნავად გამოქვეყნებულ სპეციალურ სახელმძღვანელოში ნათქვამია:

> ათი წლის წინ . . . ქართულ-ოსური დაპირისპირების პიკზე გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რესპუბლიკა, რომელიც გამძლე აღმოჩნდა. ომში ჩვენი ათასობით მოქალაქე დაიღუპა და დასახიჩრდა; ათიათასობით უდანაშაულო ადამიანი თავშესაფრის, სამსახურისა და

---

[48] ავტორის ინტერვიუ მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ვლადიმირ ატამანიუკთან, ტირასპოლი, 1 აგვისტო, 1997 წ.

> საარსებო საშუალების გარეშე დარჩა; განადგურდა ჩვენი ინფრასტრუქტურა; ხალხს წაართვეს საბავშვო ბაღები და სკოლები; მშვიდობიანი მოქალაქეები ლტოლვილებად აქციეს. მიუხედავად ამისა, ამ წლებს ჩვენთვის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ მოვახერხეთ არა მხოლოდ აგრესორის დამარცხება, არამედ საკუთარი სახელმწიფოებრიობის აშენებაც.[49]

დნესტრისპირეთის სახელმძღვანელოები მსგავს ამბავს გვთავაზობენ, განსაკუთრებით 1992 წელს ბენდერის გადამწყვეტ ბრძოლასთან დაკავშირებით:

> ბენდერის მოღალატეობრივ, ბარბაროსულ და არაპროვოცირებულ შემოსევას ერთი მიზანი ჰქონდა: დნესტრის რესპუბლიკის მკვიდრთა დაშინება და დაჩოქება. . . .თუმცა, ხალხის სიმამაცემ, სიმტკიცემ და თავისუფლების სიყვარულმა გადაარჩინა დნესტრის რესპუბლიკა. ბენდერის დაცვამ მტრის შემზარავი ძალის წინააღმდეგ გმირული ფურცელი გადაშალა ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის ისტორიაში. ხალხის საუკეთესო ვაჟებმა და ქალიშვილებმა სიცოცხლე შესწირეს მშვიდობისა და თავისუფლებისთვის ჩვენს მიწაზე.[50]

ეს არგუმენტები ცოტათი განსხვავდება იმ ასევე ტენდენციური შეხედულებებისგან, რომლებიც ხშირად გამოიყენება აზერბაიჯანის, მოლდოვას, საქართველოსა და სხვა ახალი ევრაზიული სახელმწიფოების არსებობის გასამართლებლად. იმ შემთხვევებშიც არსებობდა რაციონალური მიზეზები იმ სტრატეგიებისთვის, რომლებსაც ინტელექტუალები და აკადემიკოსები ეფუძნებოდნენ ამ ერის შენების ძალისხმევაში. ყარაბაღში რეგიონის სომხეთის იურისდიქციაში გადაცემის ადრეული მოძრაობის შუაგულში უფრო დიდი კავშირების შესაძლებლობა არსებობდა სომხეთის საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან. ბევრი ყარაბაღელი მწერალი და პედაგოგი საბოლოოდ რუსეთში ან სომხეთში გადავიდა, თუმცა ზოგიერთებმა მუშაობა პროფესორებად და სტეფანაკერტის ახალი „არცახის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრატორებად დაიწყეს. მოლდოვაში საბჭოთა მეცნიერთა წმენდამ 1980-იანი

---

[49] Ред. К. Г. Дзугаев, Южная Осетия: 10 лет республики (Южная Осетия: К десятилетию республики) (Владикавказ: Ирыстон, 2000), 4.

[50] N. V. Babilunga and V. G. Bomeshko, *Pagini din istoria plaiului natal* (სამშობლოს ისტორიის ფურცლები) (Tiraspol: Transnistrian Institute of Continuing Education, 1997), 98.

წლების ბოლოს უკმაყოფილო მკვლევართა და მწერალთა კლასი წარმოქმნა, რომლებიც დნესტრისპირეთის საქმეს თავიანთ საერთო საქმედ მოიაზრებდნენ. ბევრი ისეთი პირი გადავიდა დნესტრისპირეთში საცხოვრებლად, ვისთვისაც ეს რეგიონი მშობლიური კი არ იყო, მაგრამ აქ მათ შეეძლოთ კარიერა გაეგრძელებინათ ისტორიისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის უწინდელი საბჭოთა სტილის ვერსიების წერით და ამ პროცესში დნესტრისპირეთის ეროვნული იდენტობის ჩამომყალიბებლები გამხდარიყვნენ.[51] სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი პოლიტექნიკური სასწავლებლის პროფესორებმა მიიჩნიეს, რომ ვლადიკავკაზში, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში დაწესებულებებთან კავშირების გაფართოება უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე მზარდ „გაქართველებულ“ საგანმანათლებლო სისტემაში დაჭაობება. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალიზმისა და სახელმწიფოებრიობის ახალი იდეოლოგიები ხანდახან ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებს, ბევრი მათგანი როგორც მათი შემქმნელების პროფესიონალური მონაცემებიდან და ინტერესებიდან, ასევე ნაციონალისტური იდეალებისადმი რომანტიკული ერთგულებიდან წარმოიშვა.

ცენტრალური ხელისუფლების თანამზრახველობა

ცენტრალური ხელისუფლება ხშირად მიუთითებს ზემოთ აღწერილი სახელმწიფო აღმშენებლობის მოდალობაზე და წუხს, რომ სეპარატისტები და მათი გარე მხარდამჭერები მართლაც აშენებენ სახელმწიფოებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო ნაკლებად არიან დამოკიდებულნი აღიარებულ მთავრობებზე. თუმცა, ეს მხოლოდ ისტორიის ნაწილია. საქართველოსა და მოლდოვაში ცენტრალურმა პოლიტიკურმა ელიტებმაც შეიტანეს წვლილი დავების გახანგრძლივებაში. **სახელმწიფოს სისუსტით ხეირობენ არა მხოლოდ სეპარატისტები, არამედ ის ინსტიტუტებიც და პირებიც, რომლებიც ვითომდა პასუხისმგებელნი არიან მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ორივე ქვეყანა, სავარაუდოდ, ყველაზე კორუმპირებულთა შორისაა ყოფილ საბჭოთა კავშირში და მსოფლიოშიც კი.[52] კორუმპირებულ ცენტრალურ მთავრობებსა და**

---

[51] იხ. მაგალითად, Ред. Н. Бабилунга, Бессарабский вопрос и образование Приднестровской Молдавской Республики. (ბესარაბიის საკითხი და დნესტრის მოლდოვის რესპუბლიკის ჩამოყალიბება) (Тирасполь: Днестровский государственный кооперативный университет, 1993.); Шорников М. «Покушение на статус» (Кишинев: Кишиневское общество русских, 1997).

[52] იხილეთ „გამჭვირვალობის აღქმის ინდექსი“, www.transparency.org

სეპარატისტულ რეგიონებს შორის კავშირი კიდევ უფრო მეტად აზარალებს სუსტ სახელმწიფო სტრუქტურებს და ამავდროულად ამდიდრებს მათ, ვინც აცხადებს, რომ ზრუნავს სახელმწიფოთა ინტერესებზე.

სამხრეთ ოსეთში რუსეთთან უკანონო ვაჭრობით ყველა მხარე სარგებლობს. სამხრეთ ოსეთის მთავრობა ფულს იღებს გადამყიდველებისგან და თავისდა უნებურად იყენებს „ტრანზიტის გადასახადებს“, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეუძლია თბილისის გარეუბანში სატვირთო მანქანების მძღოლების გადახდილი ჯარიმებიდან წილი გამოითხოვოს. რეგიონში საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების გაფართოებამ ასევე სხვა საფარი წარმოქმნა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა საქონლით ვაჭრობა; თბილისში იქმნება ორგანიზაციები სამხრეთ ოსეთისთვის დახმარების შესაგროვებლად, შემდეგ კი საქონელი ადგილობრივ ბაზრებზე იყიდება.[53] ნაწილობრივ სწორედ ამ მიზეზების გამოა, რომ ცხინვალსა და თბილისს შორის მაინც გულთბილი ურთიერთობა არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთობა საბოლოოდ არ მოწესრიგებულა. 2000 წლის დასაწყისში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, ღიად უჭერდა მხარს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს პრეზიდენტობის კამპანიაში.[54]

ანალოგიური ფორმულები გამოიყენება აფხაზეთშიც. პოლიციის თანამშრომლები აფხაზეთის საზღვრის ქართულ მხარეს ორ რაიონში - ზუგდიდსა და წალენჯიხაში - პერიოდულად არბევენ უკანონო ტრანსსასაზღვრო მოვაჭრეებს, მაგრამ ადგილობრივი დამკვირვებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ძალისხმევა ნაკლებად არის მიმართული კანონის აღსრულებისკენ და უფრო მეტად კი იმ კონტრაბანდისტთა მცირე ხნით შეჩერებისკენ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ პოლიციის მონოპოლიას ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაზე.[55] ეს არ არის სიახლე ადგილობრივი ქართველებისთვის, რომლებიც ღრმა სკეპტიციზმს გამოხატავენ

---

[53] ავტორის კონფიდენციალური ინტერვიუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალჩინოსანთან, თბილისი, 2000 წლის 30 ოქტომბერი.

[54] რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება კავკასიის ანგარიში (2000 წლის 7 აპრილი).

[55] Heinrich interview (fn. 23); ავტორის ინტერვიუ კავკასიური სახლის დირექტორთან, ნაირა გელაშვილთან, თბილისი, 2000 წლის 3 და 23 ოქტომბერი; *EkhoDaidzhest*, August 1–15, 2000, 7.

საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ: მათი ორი მესამედი აცხადებს, რომ არ სჯერა პარლამენტის ან პრეზიდენტის, ხოლო 80 პროცენტს არ აქვს ნდობა საგადასახადო და საბაჟო მოხელეების მიმართ.[56]

ამ კავშირების დოკუმენტირება კიდევ უფრო იოლია დნესტრისპირეთში. 1996 და 1997 წლებში ხელმოწერილი შეთანხმებებით, მოლდოვის მთავრობა, ეუთოს წაქეზებით, დათანხმდა დნესტრისპირეთის ადმინისტრაციასთან ერთობლივი საბაჟო პუნქტების შექმნაზე და სეპარატისტებისთვის ოფიციალური საბაჟო ბეჭდების და ექსპორტის ლიცენზიების მინიჭებაზე. დნესტრისპირეთს ასევე მიეცა უფლება, რომ მოლდოვის კონტროლირებად ტერიტორიაზე შესვლისას პირდაპირ ან მოლდოვის სხვა ნაწილების გავლით გადასახადების გადახდის გარეშე განახორციელოს საქონლის იმპორტი და ექსპორტი. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება გამიზნული იყო, როგორც ორ მხარეს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიება, პრაქტიკაში ის მხოლოდ კანონის საფარქვეშ უკანონო ვაჭრობის საფუძველს წარმოადგენს. ამ ვაჭრობის მასშტაბები ადვილად მიკვლევადია, რადგან საბაჟო გადასახადები სათანადოდ არის რეგისტრირებული მოლდოვის ცენტრალურ მთავრობაში, მაშინაც კი, თუ ფული არ მოხვდება სახელმწიფო ხაზინაში. მაგალითად, 1998 წელს მოლდოვამ შემოიტანა დაახლოებით 125 მლნ აშშ დოლარის საქონელი, რომელიც დაქვემდებარებულია იმპორტის გადასახადებს. ამავდროულად, კიდევ 500 მლნ აშშ დოლარი დარეგისტრირდა მოლდოვის საბაჟო ჩინოვნიკებთან დნესტრისპირეთში ტრანზიტით შესვლისას.[57] მაჩვენებლები რამდენადაც ინსტრუქციულია, იმდენად დაუჯერებელია: ტერიტორიის ნაწილზე, რომელიც მოიცავს მოლდოვის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 17 პროცენტს, იმპორტირებულია ოთხჯერ მეტი საქონელი, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში, მათ შორის დაახლოებით ექვსიათასჯერ მეტი სიგარეტი, რამდენადაც ეს სრულად ცნობილია ცენტრალური საგადასახადო ინსპექტორის ოფისისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი იმპორტი უდავოდ აღწევს დნესტრისპირეთამდე, უმეტესობა მოლდოვის ბაზრის გზას ადგას. ქვეყნის პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი

---

[56] Georgian Lifestyle Survey, 2000 წ., ციტირებულია ადამიანის განვითარების ანგარიშში, საქართველო 2000 (თბილისი: გაეროს განვითარების პროგრამა, 2000 წ.), 74.

[57] Buletinul socialdemocrat, no. 2 (2000 წ.); და ავტორის საუბრები ოაზუ ნანტოისთან, კიშინიოვი, 2000 წლის სექტემბერი.

დნესტრისპირეთში, ოაზუ ნანტოი, ამ ფიგურების აღმოჩენის შემდეგ პროტესტის ნიშნად გადადგა თანამდებობიდან. მოგვიანებით მან მოაწყო გადაცემების სერია საჯარო ტელევიზიით, სადაც ეს უკანონო ვაჭრობა გააშუქა. თუმცა, 2000 წლის ბოლოს, მოლდოვის ეროვნული ტელევიზიის დირექტორმა ბრძანება გასცა, რომ მაუწყებლობა შეჩერებულიყო. გავრცელებული ინფორმაციით, მან ეს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების ბრძანებით გააკეთა.[58] **ამ კონფლიქტურ ზონებში სახელმწიფოების სისუსტე არ არის ის მდგომარეობა, რომელიც რატომღაც თავისთავად მოხდა. მუდმივი სისუსტე, იქნება ეს სეპარატისტულ რეგიონებში თუ ცენტრალურ მთავრობებში, ძალაუფლებაში მყოფთა ინტერესებშია.**

ასევე არსებობს ნაკლებ აღმაშფოთებელი გზები, რომლითაც ცენტრალური მთავრობები რეაგირებენ სტატუს-კვოს შეცვლის მძლავრ წინააღმდეგობაზე. იმ პოლიტიკოსებსაც კი, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან დავის გადაწყვეტის საკითხს, უწევთ იმ რადიკალურ შიდა ძალებთან გამკლავება, რომლებიც საპირისპირო მიმართულებით უბიძგებენ. საქართველოში პარლამენტის აფხაზური ფრაქცია, აფხაზეთის ყოფილი ქართული ადმინისტრაციის ის ნარჩენები, რომლებიც ომის დროს თბილისში გაიქცნენ, ნამდვილი კომპრომისის დამაბრკოლებლად იქცა. აფხაზეთი, რომელიც პარლამენტში გამოყოფილი ადგილებით სარგებლობს, ფუნქციონირებს, როგორც დევნილობაში მყოფი რეგიონული მთავრობა; თუმცა ისინი არ აკონტროლებენ საპარლამენტო ხმების საკმარის რაოდენობას ძლიერ სამთავრობო უმრავლესობასთან დასაპირისპირებლად, ხმამაღალ ოპონენტებად გვევლინებიან ნებისმიერი ისეთი ნაბიჯის შემთხვევაში, რომელიც რისკის ქვეშ დააყენებს მათ ინტერესს, რომ დაბრუნდნენ აფხაზეთის ხელისუფლებაში.[59] შესაბამისად, მათ დიდი ხანია დაბლოკეს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთის ომის დროს იძულებით გადაადგილებული 250 000 ადამიანის განსახლებასა და ინტეგრაციას. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც გასული ათწლეულის დიდი ნაწილი გაატარეს დანგრეული სასტუმროებისა და კურორტების შენობებში მოწყობილ „დროებით“ საცხოვრებლებში. ფრაქციის ლიდერები შიშობენ, რომ დევნილთა საქართველოში ჩამოსახლება მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას დაასუსტებს, რადგან ისინი აკონტროლებენ

[58] *Foreign Broadcast Information Service—Soviet Union* (October 24, 2000).

[59] *Georgia Today*, 11–17 აგვისტო, 2000 წ., 3.

დევნილებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის გაცემას და სოციალური სერვისების მიწოდებას.[60] თვითონ აფხაზეთის ჯგუფი, ერთგვარი სასარგებლო მუქი ფონი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის ყველაზე მეტად მებრძოლი აფხაზებისთვისაც კი. წარუმატებელი მოლაპარაკებები ყოველთვის შეიძლება დაბრალდეს აფხაზეთის ჯგუფის მილიტარისტულ ენას და მათ მხარდამჭერებს, ეთნიკურად ქართველთა პარტიზანულ მოძრაობებს, რომლებიც აფხაზურ ჯარებს ავიწროებენ. აფხაზებს, ჯგუფ აფხაზეთს და საქართველოს მთავრობას - თუმცა რადიკალურად განსხვავებული ჯგუფებია - ნამდვილი ცვლილებების შეფერხების საერთო ინტერესი აქვთ.[61]

საერთაშორისო ინტერვენცია, როგორც რესურსი

თითოეულ ამ კონფლიქტში საერთაშორისო ჩართულობა ხშირი იყო და ხშირად წარმატებულიც. აზერბაიჯანში ეუთოს მიერ დაფინანსებულმა მინსკის ჯგუფმა 1992 წლიდან კარგი სამსახური გასწია და მოლაპარაკებების მექანიზმებიც შეიმუშავა. მოლდოვაში ეუთოს მისია 1993 წლიდან აქტიურობს და მოლაპარაკებების მრავალი რაუნდი დააფინანსა. 1993 წელს, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია განლაგდა, რათა საფუძველი დაედო აფხაზეთის მომავალზე მოლაპარაკებებისთვის და მონიტორინგი გაეწია დსთ-ს ძალების მიერ საქართველოს უსაფრთხოების ზონაში დსთ-ს შეიარაღებული ძალების მიერ ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციისათვის. სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოები ომის დასრულების შემდეგ არიან განლაგებულები და სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებები სწარაფად გაგრძელდა, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და ეუთო, როგორც შუამავალი.

ამ აქტიური ჩართულობის მიუხედავად, ძალიან ცოტა მნიშვნელოვანი რამ იქნა მიღწეული სამი ძირითადი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ყველა შემთხვევაში მოქმედი მთავრობები სისუსტის პოზიციიდან კამათობენ. როგორც სამხედრო კონფლიქტებში დამარცხებულებს, მათ სეპარატისტული რეჟიმებისთვის ბევრი არაფერი აქვთ შესათავაზებელი. ამ ძირითად დინამიკას ემატება მათი ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობაც, რაც

[60] ინტერვიუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (სქოლიო 53).

[61] მსგავსი სიტუაციებია მოლდოვაში (სადაც პრორუმინელი ინტელექტუალები დნესტრისპირეთთან მიმართებაში დათმობებს ეწინააღმდეგებიან) და სომხეთში (სადაც 1999 წელს ბოევიკებმა მოკლეს პრემიერ-მინისტრი, როდესაც ის თითქოს აზერბაიჯანთან კომპრომისის გასაფორმებლად მიდიოდა).

რეინტეგრაციას ნაკლებად მიმზიდველს ხდის როგორც სეპარატისტული ელიტებისთვის, ასევე მათი შემადგენელი მოსახლეობისთვის. ოთხივე დავაში სეპარატისტებმა დაჟინებით მოითხოვეს, რომ მათი დამოუკიდებლობის სრული აღიარება პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, რის შემდეგაც მათ შესაძლოა მზადყოფნა გამოეხატათ მოლაპარაკებებზე მოქმედ მთავრობებთან რაიმე სახის თავისუფალი კონფედერაციის შექმნის შესახებ. ცენტრალურ მთავრობებს, პირიქით, სწორედაც რომ საპირისპირო სურდათ: ჯერ სახელმწიფოს ერთიანობის მიღება და შემდეგ დისკუსია ძალაუფლების გადანაწილებაზე.

მეორე ისაა, რომ ჩიხური მდგომარეობის ეკონომიკური სარგებლის გამო, არცერთი მთავარი ელიტა არ არის დაინტერესებული, რომ ხელმოწერილი შეთანხმებები განახორციელოს. ომში ჩართული მხარეები მონდომებულნი არიან მოლაპარაკებები აწარმოონ მაშინაც კი, როცა დაგეგმილი სესიები რეგულარულად უქმდება ან გადაიდება, მაგრამ მოლაპარაკებები იშვიათად იღებს იმაზე მეტ შედეგს, ვიდრე საუბრის გაგრძელებაზე შეთანხმებაა - შედეგი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები ჩანს. და სანამ მხარეები „დიალოგის" რეჟიმს ინარჩუნებენ, საერთაშორისო საზოგადოებისგან პოლიტიკურ და ფინანსურ დახმარებას იღებენ. ძირითადი მოთამაშეები მზად არიან ერთმანეთთან ისაუბრონ სწორედ იმიტომ, რომ ფსონები ძალიან დაბალია; ორივე მხრიდან ცოტა ადამიანი წუხს იმაზე, ოდესმე განხორციელდება თუ არა ის, რაც მოლაპარაკების მაგიდასთან ხდება.[62]

მესამე, საერთაშორისო მოლაპარაკებების პოლიტიკა ზოგჯერ აძლიერებდა კიდეც სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრიობას. საერთაშორისო ინტერვენცია თავისთავად შეიძლება სასარგებლო რესურსი იყოს არაღიარებული სახელმწიფოების მშენებლებისთვის, რადგან სეპარატისტული დელეგაციის მოლაპარაკების მაგიდასთან პარტნიორად მიღებაც კი გარკვეულ ლეგიტიმაციას ანიჭებს ამ მხარის მოთხოვნებს. უფრო მნიშვნელოვნად და დახვეწილად, სხვაგვარად ნეიტრალურმა ფასილიტატორებმა სეპარატისტებს, ფაქტობრივად, ხელი გაუხსნეს. ყარაბაღში ყარაბაღისა და აზერბაიჯანის ძალებს შორის თხრილების გადალახვის სირთულე - რომ აღარაფერი ვთქვათ შესანიშნავ საგზაო კავშირზე სომხეთიდან - მიუთითებს იმაზე, რომ ჰუმანიტარული და

[62] კონფიდენციალური ავტორის ინტერვიუები ეუთოს და გაეროს მაღალჩინოსნებთან, თბილისი, 2000 წლის 23 და 26 ოქტომბერი.

განვითარების პროგრამები, მათ შორის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამები, სომხეთიდან იმართება და არა აზერბაიჯანიდან.[63] დნესტრისპირეთში ეუთოს ადგილობრივმა დელეგაციამ მტკიცედ მოუწოდა მოლდოვის მთავრობას ხელი მოეწერა შეთანხმებებზე, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დნესტრისპირეთისთვის საბაჟო შტამპებს, რითაც ხელს უწყობდა არალეგალურ ვაჭრობას რეგიონში. მოგვიანებით, ეუთომ ზეწოლა მოახდინა მოლდოველებზე, რათა კიდევ ერთ შეთანხმებაზე მოეწერა ხელი, რომელიც ორივე მხარეს ავალდებულებდა „საერთო სახელმწიფოს“ ფარგლებში ეარსება ენის ფორმას, რასაც დნესტრისპირელები ახლა განმარტავენ, როგორც მოლდოვის მდუმარე თანხმობას თავისუფალი კონფედერაციის შექმნაზე.[64] აფხაზეთში ჰუმანიტარული დახმარების სააგენტოები ადგილობრივი ეკონომიკის საყრდენად იქცნენ, რომლებიც ყოველწლიურად ოთხიდან ხუთ მილიონ დოლარს აწვდიან ეკონომიკას იჯარის, მომსახურებისა და ადგილობრივი პერსონალის ანაზღაურების მეშვეობით.[65] **ამგვარად, ყველაზე მონდომებული მშვიდობისმყოფელებიც კი უიმედო მდგომარეობაში არიან: ხელს უწყობენ რა შეთანხმებას სეპარატისტებთან, რომლებსაც არ აქვთ კეთილსინდისიერად მოლაპარაკების მოტივაცია, ცენტრალურ ლიდერებთან, რომლებიც სარგებელს იღებენ სტატუს-კვოდან და საერთაშორისო საზოგადოებასთან, რომელიც მოუთმენლად ელის „პროგრესის“ რაიმე სიმბოლოს გამოჩენას, მიუხედავად იმისა, თვითონ რეალურად უწყობს თუ არა ხელს დავის გადაწყვეტას.**

მშვიდობა როგორც საზოგადოებრივი სიკეთე

ევრაზიის დე ფაქტო ქვეყნები საინფორმაციო შავ ხვრელებს წარმოადგენენ. იქ მოგზაურობა რთული და ხშირად საშიშია. იქ არჩევნები ტარდება, მაგრამ არა საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით. ეკონომიკური და დემოგრაფიული მონაცემები არ

---

[63] კონფიდენციალური ავტორის ინტერვიუ შეერთებული შტატების დახმარების პროგრამის უფროს მენეჯერთან, სტეფანაკერტი, 2000 წლის 28 სექტემბერი. ეუთოს მინსკის ჯგუფიც კი, მთავარი მოლაპარაკებების ფორუმი, დაფუძნებულია თბილისში, რადგან მისიის ბაქოში ან ერევანში დაფუძნება მიუღებელი იქნებოდა მეორე მხარისათვის.

[64] “Меморандум об основах нормализации отношений между Республикой Молдова и Приднестровьем”, г. Москва, 8 мая 1997 года.

[65] კონფიდენციალური ავტორის ინტერვიუ გაეროს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ოფისის (UNOCHA) მაღალი თანამდებობის პირთან, თბილისი, 2000 წლის 29 აგვისტო.

შესულა ეროვნული და საერთაშორისო სააგენტოების მიერ შედგენილ სტატისტიკაში. წიგნები და გაზეთები არათუ ეროვნულ დედაქალაქებში ან მის ფარგლებს გარეთ, არამედ თვით სეპარატისტულ რეგიონებშიც გაჭირვებით ცირკულირებს. ყოველივე ამის მიუხედავად, ისინი შეიძლება ისეთ შემთხვევებად გამოიყურებოდნენ, რასაც ფროიდი „მცირე განსხვავებების ნარცისზმს“ უწოდებს. უმეტეს შემთხვევაში, ამ საზოგადოების ლიდერები და მათი კოლეგები ცენტრალურ მთავრობებში მოლაპარაკებების სესიებზე საერთო ენაზე, რუსულად საუბრობენ. ბევრს ჰქონდა მსგავსი პროფესიული გამოცდილება საბჭოთა პერიოდში. ტერიტორია, რომელიც მათ ჰყოფს, ზოგ შემთხვევაში მცირეა: ტირასპოლი ორმოცდაათი კილომეტრითაა დაშორებული მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვიდან; ცხინვალი საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ორი საათის საავტომობილო სავალზეა. მიუხედავად ამისა, ისინი უზარმაზარ პრობლემებს ქმნიან. ისინი წარმოადგენენ ცენტრალურ პოლიტიკურ პრობლემას აღიარებული სახელმწიფოებისთვის, რომელთა ტერიტორიაზეც იმყოფებიან და ევრაზიის მასშტაბით ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანებით ტრეფიკინგის არხებად იქცნენ.

თითოეული ამ კონფლიქტის მკაცრი უსაფრთხოების ზომები - ვთქვათ, ლტოლვილთა მასიური ნაკადის შემოდინებით ან განახლებული ბრძოლებით წამოჭრილი საფრთხეები - აღარ არის მთავარი საზრუნავი. ომების დასრულების შემდეგ, სეპარატისტულმა ელიტებმა სახელმწიფოების შენების პროცესი განაგრძეს და ცენტრალურმა ელიტებმა და საშუალო მოქალაქეებმაც კი ისწავლეს ამ პროცესთან შეგუება. თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტამ კიდევ უფრო გაართულა საბოლოო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა. მშვიდობა ახლა თითქოს საზოგადოებრივი სიკეთე გახდა; ის შედეგია, საიდანაც პოტენციურად ყველა ჯგუფმა შეიძლება ისარგებლოს, მაგრამ ამავე დროს ის გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარისაგან. ისევე, როგორც ომის პოლიტიკურ ეკონომიკას შეუძლია ძალადობის გახანგრძლივება, ასევე ევრაზიის არაღიარებული სახელმწიფოების ინსტიტუციებმა უზრუნველყვეს ის, რომ კონფლიქტის შედეგად მიღებული სარგებელი გახანგრძილვდეს ორივე მხარის მეომრებისათვის, როგორც დამარცხებულებისთვის, ასევე გამარჯვებულებისთვისაც.

გარკვეულწილად, სეპარატისტულ რეგიონებში ინსტიტუციების ენერგიული მშენებლობა საბჭოთა სოციალიზმის მემკვიდრეობაა. სამ კონფლიქტურ ზონას უკვე ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ზოგიერთი ძირითადი ინსტიტუტი (მათი სტატუსით, როგორც „ავტონომიური“ ტერიტორიები), და დნესტრისპირეთშიც კი ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა და საქალაქო საბჭოებმა განაპირობა ის, რაც მოგვიანებით გახდა პარლამენტი, პრეზიდენტობა და უშიშროების სტრუქტურა. საბჭოთა სისტემამ ხელსაყრელი შაბლონი შეიმუშავა ეროვნული საკითხების გადასაჭრელად, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების არსებობას და მათზე კონტროლს ეროვნული ხაზით. საბჭოთა მემკვიდრეობის ძალაუფლებაზე მიუთითებს ის, რომ სეპარატისტული ელიტების პირველ ოფიციალურ აქტებს შორის იყო პარლამენტის შექმნა და კანონმდებლობის მიღება ეროვნული დროშის, ჰიმნისა და ბეჭდის შესახებ - ბევრად ადრე, ვიდრე ისინი შეძლებდნენ ტერიტორიის დაცვას და თავიანთად გამოაცხადებდნენ. საბჭოთა სისტემაში მათი სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ ამის მოთხოვნამდე არსებობდა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებრიობის აღჭურვის შემდგომ მათი დეკონსტრუქცია უკიდურესად რთულია. **რა საჭიროა იყო პატარა ქალაქის მერი, თუ შეგიძლია იყო ქვეყნის პრეზიდენტი? რატომ უნდა იყო სხვისი ჯარის ლეიტენანტი, თუ შეგიძლია იყო გენერალი შენს საკუთარ არმიაში? რა თქმა უნდა, ეს გათვლები შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო, აზერბაიჯანი, მოლდოვა და საქართველო რომ ძლიერი, მდიდარი ან თუნდაც უმნიშვნელოდ ფუნქციონალური სახელმწიფოები ყოფილიყვნენ, რომლებშიც სეპარატისტულ რეგიონებში ცალკეულ პირებს შეიძლებოდა გარკვეული შესაძლებლობა დაენახათ ხელახალი გაერთიანებისათვის. თუმცა, ჯერჯერობით, ცხოვრება აღიარებულ სახელმწიფოში (განსაკუთრებით დედაქალაქებს მიღმა) ცოტათი თუ განსხვავდება რომელიმე არაღიარებულ სახელმწიფოში ცხოვრებისგან. ზოგიერთ შემთხვევაში უარესიც კი არის.**

ამ თავსატეხის აშკარა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს. ცენტრალურ მთავრობებს შეეძლოთ უბრალოდ ეღიარებინათ სეპარატისტული რეგიონების ძალაუფლება და დასთანხმებოდნენ მათზე უფლებამოსილების მაქსიმალურ განაწილებას ერთიანი სახელმწიფოს ფარგლების აღიარების სანაცვლოდ. ეს იყო რეკომენდაცია, რომელიც არაერთხელ წამოაყენა რუსეთის

ფედერაციამ და მხარი ზოგადად დაუჭირეს სხვა გარე შუამავლებმა. ის საბოლოო სამშვიდობო მოგვარების იდეას აყალიბებდა, „საერთო სახელმწიფოს" («Общее государство») კონცეფციას ფარგლებში. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ისტორია ამტკიცებს, ერთადერთი შესაძლო გზა ახლა არის „აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის, არსებული დე ფაქტო დამოუკიდებელი სტატუსის შენარჩუნება, როგორც იურიდიულად ლეგიტიმური სუბიექტების, და როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოების გარკვეული ასოცირებული ნაწილებისა".[66] მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსი გარკვეულ დიპლომატიურ საფარს წარმოადგენდა - დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მისცემს საერთაშორისო საზოგადოებას განეცხადებინა, რომ კონფლიქტები „მოგვარდა" - ნაკლებად თუ შეცვლიდა ძალაუფლების ძირითად სტრუქტურას. ფაქტობრივად, ეს უბრალოდ ლეგიტიმაციას მოახდენს ამ სახელმწიფოების მუდმივ დაყოფას ცენტრალური მთავრობების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებად და ისეთ ტერიტორიებად, სადაც მათი უფლებამოსილება არ ვრცელდება. ეს შეიძლება ყოფილიყო გამოსავალი იმპერიებში, სადაც მეამბოხე პერიფერიულ ელიტებს ენიჭებოდათ საგადასახადო მეურნეობის უფლებამოსილება ცენტრისადმი ლოიალობის სანაცვლოდ. თუმცა, ეს ეფექტური ვარიანტი არ იყო ახალი, მყიფე და ვითომ დემოკრატიის გზას დამდგარი სახელმწიფოებისთვის.

ეს დინამიკა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ აკადემიურ თვალთახედვას, რომლითაც მკვლევრებმა შიდასახელმწიფოებრივი ომის პრობლემები განიხილეს. 1990-იან წლებში ბალკანეთსა და კავკასიაში დასავლური პოლიტიკის ინტერესის გათვალისწინებით, ამ რეგიონებში კონფლიქტის შესწავლა სერიოზული ინტერესის საგანი გახდა უსაფრთხოების კვლევებისთვის და, შესაბამისად, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. კვლევა, როგორც წესი, კონცენტრირებული იყო კონფლიქტების კვლევის მასშტაბებზე, რომლებიც ძირითადად სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, როგორიცაა უსაფრთხოების დილემა. მაგრამ ეთნოტერიტორიული დაპირისპირების უსაფრთხოების პრობლემამდე დაყვანამ შეიძლება მკვლევრებს გზა აუბნიოს იმ ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოტივაციებზე, რომლებიც კონფლიქტბეს ამწვავებენ

[66] Золотарев (სქოლიო. 14), 395.

და ომის ქსელებს დე ფაქტო სახელმწიფოების ინსტიტუციებში აქცევენ. ევრაზიის არაღიარებული ქვეყნებისთვის გაკვეთილია ის, რომ სწორედ ამ მექანიზმებში მოიძებნება კონფლიქტების გადაუჭრელობის ახსნა. სამოქალაქო ომებში, ისევე როგორც პოლიტიკაში, შესაძლოა მეტად ნათლის მომფენი აღმოჩნდეს შეკითხვა cui bono? („ვისთვის არის ეს ხელსაყრელი?“).